კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავითი ძიმისტარიშვილი

# სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები

სამართალმცოდნეობა

**სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

ხელმძღვანელი: სერგო ჭელიძე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

**თბილისი 2019**

# სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები

## ანოტაცია


საქართველოს სამართლის და მათ შორის სისხლის სამართლის სისტემა საქართველოს სახელმწიფოებრიობის პარალელურად ვითარდებოდა. იგი ემსახურება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას, ბუნებრივია სისხლის სამართლის კოდექსით დაცულია ისეთი სამართლებრივი სიკეთე, როგირიცაა სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა.

სქესობრივი დანაშაულის ფენომენი დარეგულირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავით. აქედან გამომდინარე სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული საზოგადოებისთვის მეტად საშიში, სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის აღსაკვეთად იყენებს, როგორც შიდა ასევე საერთაშორისო გამოცდილებას.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განვიხილავ სქესობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, საზოგადოებისთვის მისი საშიშროების მნიშვნელობას და გამოვიკვლევ აღნიშნული დანაშაულის სამართლებრივ ბუნებას. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ, სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი სტრატეგიის შემუშავება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, მიმოვიხილავ ძალმომრეობით და არაძალმომრეობით სქესობრივ დანაშაულს ჩადენილი, როგორც სრულწლოვანთა ასევე არასრულწლოვანთა მიმართ. დავახასიათებ სქესობრივ დანაშაულში მსხვერპლისა და მოძალადის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება პრაქტიკაში არსებული პრობლემები, სტატისტიკა და პრევენციის მექანიზმები. რომლებიც ხელს შეგვიწყობს თვალნათლივ დავინახოთ საქართველოში არსებული კრიმინოლოგიური მდგომარეობა სქესობრივ დანაშაულთან მიმართებაში.

სახელმწიფომ რაც არ უნდა ეფექტური საკანონმდებლო ბაზა შექმნას აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად ვერ იქნება ეფექტური ხალხის ჩართულობის და თანამშრომლობის გარეშე.

Daviti Dzimistarishvili

# Criminal aspects of sexual offence

## Abstract

The system of Georgian law, including criminal law, has been developing alongside the development of the state. It serves human rights and freedoms. It is natural that code of criminal law protects the sexual freedom and inviolability.

The phenomenon of sexual crime is regulated bu Chapter XXII of the Code Criminal Law of Georgia. Thus, the state is actively involved in the fight against the most dangerous crime for the society – sexual crime. In order to fight against it, the state uses both internal and international experience.

The thesis presents criminological aspects of sexual crime, its dangers to the society, and looks into legal nature of this crime. Developing the right strategy of fighting against sexual crime is an important step forward. In the thesis, I will discuss violent and non-violent sexual crime committed against both adalt and juveniles. I will describe psycho-social state of both the victim and the offender of sexual crime. The paper presents the problems, statics and preventive mechanisms existing in practice. This will clearly show the criminological condition in Georgian in terms of sexual crime.

Whatever effective legal base is created by government to fight against the crime, this fight will not be efficient without people's invelvonment and cooperation.

# სარჩევი


**შესავალი** .....4

**თავი 1. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ისტორიული ანალიზი**.....7

1.1 სქესობრივ დანაშაულთა რეგულირების ფორმების ისტორიული ანალიზი XX საუკუნის შუა რიცხვებამდე.....7

1.2 სქესობრივი დანაშაული ქართულ კანონმდებლობაში საბჭოთა კავშირის არსებობის დროს.....11

1.3 სქესობრივ დანაშაულთა ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება მოქმედ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით.....16

**თავი 2. სქესობრივ დანაშაულთა დეტალური სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური დახასიათება**.....21

2.1 ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაულები, განხორციელებული სრულწლოვანთა მიმართ.....21

2.2 არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი ძალმომრეობითი და არაძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაულები.....31

2.3 სქესობრივი დანაშაული, როგორც ოჯახური ძალადობის ფორმა.....37

2.4 სქესობრივ დანაშულში მსხვერპლისა და მოძალადის ფსიქო-სოციალური და კრიმინოლოგიური დახასიათება.....41

**თავი 3. სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში არსებული სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა, სტატისტიკა და პრევენციის მექანიზმები**.....46

3.1 სისხლის სამართალწარმოება და პრაქტიკაში არსებული პრობლემები.....46

3.2 სქესობრივ დანაშაულთა სტატისტიკური ანალიზი.....51

3.3 სქესობრივ დანაშაულთა პრევენციის მექანიზმები.....60

**დასკვნა** .....64

**გამოყენებული წყაროები**.....68

# შესავალი

განვითარებული სახელმწიფოს უპირატესი მიზანი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ძლიერი საკანონმდებლო ბაზის გარეშე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საზოგადოება სახელმწიფოსთან ერთად უნდა ებრძოდეს ისეთ ფენომენს, როგორიცაა დანაშაული. საზოგადოებას არ აქვს მომავალი, თუკი ის პატივს არ სცემს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს. პიროვნება და თავად სახელმწიფო იმ ერთიანი მექანიზმის ნაწილია, რომელიც ებრძვის დანაშაულს და მიზნად საყოველთაო კეთილდღეობას ისახავს.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო არის ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი ყოველგვარი ხელყოფისაგან.

სამწუხაროდ, თანამედროვე პირობები საქართველოში ხასიათდება ცვალებადი ეკონომიკურ-სოციალური, პოლიტიკური და სხვა სფეროებით. თავს იჩენს ზნეობრივი იდეალებისა და მორალური პრინციპების ნგრევა. განსაკუთრებული საშიშროების შემცველია ის ფაქტები, რომ აღნიშნული უარყოფითი ცვლილებები ეხება საზოგადოების შეგნებას, მათ შორის, სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში და რაც ყველაზე უარესია, თანდათან სქესობრივი სურვილების დაკმაყოფილების საშუალება ძალადობრივ ხასიათს იღებს.

რა თქმა უნდა, არ ვუარყობთ, რომ სქესობრივი ძალადობის ცნება მხოლოდ თანამედროვე ეპოქის პრობლემაა. უფრო მეტიც, საქართველოს კანონმდებლობის განვითარების ისტორიას თუკი გავეცნობით, ცალსახა გახდება, რომ სქესობრივი ძალადობა წარსულში, განსაკუთრებით ფეოდალური წყობის დროს, რიგ შემთხვევებში, დასაშვებიც კი იყო და დანაშულად არ აღიქმებოდა. თუმცა, პრობლემაც სწორედ ის არის, რომ თავად სახელმწიფომ შეცვალა მიდგომა და თითოეული პიროვნების სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა ერთ-ერთ უპირატეს ღირებულებად აღიარა, მაგრამ „მოძალადეებმა“ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერეს ის ფაქტი, რომ ამ უფლებათა დაცვა სავალდებულოა, „დაზარალებულებმა“ კი ის, რომ  სახელმწიფო და კანონმდებლობა მათ უკვე საკუთარი თავის დაცვის შესაძლებლობას სთავაზობს.

**თემის აქტუალობა.** ნაშრომის აქტუალობაზე მიუთითებს ის გარემოებები, რომ სქესობრივი დანაშაულები მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებითა და უაღრესად უარყოფითი შედეგებით ხასიათდება. საზოგადოება კი არ არის საკმარისად ინფორმირებული იმ თავდაცვის მექანიზმების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს.

საკანონმდებლო ცვლილებები ვერ იქნება ეფექტური, თუკი საქართველოში თითოეული ქალი ცოლ-ქმრულ ურთიერთობას კვლავ მოვალეობად ჩათვლის, მეუღლეთა მიერ განხორციელებულ სქესობრივ ძალადობას - ჩვეულებრივ მოვლენად. თუკი თითოეული არასრულწლოვანი არ ისწავლის საჭირო დროს მოძალადეთა მიმართ უარის თქმას; თუკი სქესობრივ დანაშაულთა მსხვერპლნი არ გაიაზრებენ, რომ არსებობს მათი დაცვის საშუალებები. არც ერთ საკანონმდებლო ცვლილებას და სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის მინიჭებულ უფლებებს არ ექნება რეალიზების საშუალება, თუ თითოეული პიროვნება არ გახდა საკმარისად ინფორმირებული ამ უფლებათა შესახებ, სქესობრივი ძალადობის შემთხვევაში დუმილი ამჯობინა იმ უიმედობის გამო, რომ მას არ აქვს არჩევანის უფლება და საკუთარი პრობლემის გამჟღავნების შემთხვევაში მისი პატივი და ღირსება დაცული და აღდგენილი არ იქნება.

**კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტს წარმოადგენს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშულის ფენომენი და ამ სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი უფლებები. კვლევის ობიექტთან პირდაპირ დამოკიდებულებაში არის კვლევის საგანი, რომელიც გახლავთ: სქესობრივ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივ-კრიმინალისტიკური ბუნება, ცალკეულ შემადგენლობათა დეტალური დახასიათება; დაზარალებულთა და მოძალადეთა სოციალურ-კრიმინალისტიკური ნიშნით კლასიფიცირება; სქესობრივ დანაშაულთა სტატისტიკა; სამართლებრივ ნორმათა რეალიზების პრაქტიკა და სრულყოფის ტენდენციები; სქესობრივ დანაშაულთა პრევენციის მექანიზმები.

**კვლევის მიზანი.** ჩვენი მიზანი არის კომპლექსური სისხლისსამართლებრივი კვლევის ჩატარება, რის საფუძველზედაც ნათელი გახდება სქესობრივ დანაშაულთა წარმოშობის მიზეზები, ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს მოქმედ კანონმდებლობასა და არსებულ სამართლებრივ პრაქტიკაში.

**კვლევის მეთოდები.** განსახილველი საკითხის შესწავლისას გამოვიყენეთ ისტორიულ-სამართლებრივი ანლიზის მეთოდი, შედარებითი მეთოდი, სტატისტიკური ანალიზის მეთოდი, რაც გვიქმნის წარმოდეგნას აღნიშნული დანაშაულის სიხშირესა და გამოვლინების ფორმებზე, აგრეთვე სქესობრივ მოძალადეთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე.

**კვლევის მეთოდოლოგია და სტრუქტურა.** სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ჩვენს მიერ შესაწავლილ იქნა ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები, საკანონმდებლო მასალა, სასამართლო პრაქტიკა, სტატისტიკა. თავად ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 70 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, 10 პარაგრაფისა და დასკვნისაგან, რომელსაც ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

# თავი 1. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ისტორიული ანალიზი

## 1.1 სქესობრივ დანაშაულთა რეგულირების ფორმების ისტორიული ანალიზი XX საუკუნის შუა რიცხვებამდე

სქესობრივი დანაშაულების კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIII-XIV საუკუნეებში შექმნილი ბექასა და აღბუღას კანონები ანუ „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“. აღნიშნულ ძეგლში ცალკე დანაშაულის სახედ დასახელებულია სქესობრივ დანაშაული, რომელსაც ეძღვნება 23-ე, 26-ე და 41-ე მუხლები.

23-ე მუხლის თანახმად: „თუ დედა-წულმა დედა-წულისა ცოლსა უარშიო უყოს და მიაყივნოს, გინა ნებითა, გინა უნებლიეთ - და განმჟღავნდეს, გინა მეყვსისაგან, დაუურვის ცოლს ქმარსა, სრული სისხლი მისცეს, და ბატონმან მისმან ნიფხავით ოდენ შიშველ და ყელსაბმელიანი უბანთა ზედა განჯისებულ მოავლოს“.[1]

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია სასჯელი დაოჯახებული ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის. კანონმდებელი იმდენად მაღალ ღირებულებად სახავს ოჯახს, რომ სასჯელის დაწესებისათვის მნიშვნელობა აღარ ენიჭება ქმედების ნებაყოფლობით თუ ძალადობრივ ხასიათს. თუნდაც ქალის ნებით მომხდარიყო სქესობრივი კავშირის დამყარება, დანაშაულის შემადგენლობა მაინც სახეზე იქნებოდა.

აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს არამხოლოდ დანაშაულის ელემენტებზე, არამედ სასჯელის სახეზედაც. **კომპოზიციები** ანუ სისხლის დაურვების სისტემა, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის სასჯელის ძირითადსა და ყველაზე გავრცელებულ ფორმას ბექა-აღბუღას სამართალში, ადათობრივი სამართლის გადმონაშთია. სისხლის დაურვებამ შეცვალა შურისძიებისა და სისხლის აღების ჩვეულება მატერიალური საზღაურით, რომელიც დამნაშავეს

[1] დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 295.

უნდა გადაეხადა დაზარალებულის ნათესავებისათვის. 23-ე მუხლის შემთხვევაში ანაზღაურება „სრული სისხლი“ შეადგენს 20 000 თეთრს.

ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით გათვალისწინებულია აგრეთვე **გამაწბილებელი სასჯელები**, რომლებსაც დამნაშავის პიროვნების შერცხვენა და დამცირება აქვს მიზნად. კერძოდ 23-ე მუხლის თანახმად დამნაშავეს შეეფარდება სასჯელი, რაც გამოიხატება ყელზე თოკის მობმით და შიშველ მდგომარეობაში ქუჩა-ქუჩა ტარებით.

26-ე მუხლის მიხედვით: „თუ დიდებულმან აზნაურისა ცოლსა უარშიკოს და გამოაჩნდეს ცხადად, თუ დააგდოს მისმან ქმარმან, მოარშიკემან მისცეს თორმეტი ათასი თეთრი. და თუ არ დააგდოს ექუსი ათასი“.[2] აღნიშნულ მუხლში კანონმდებელი ყურადღებას იმდენად არ ამახვილებს ქმედების ძალადობრივ ხასიათზე, რამდენადაც მის შედეგზე. კერძოდ თუ აზნაურის ცოლის შეცდენას ოჯახის დანგრევა მოჰყვა საზღაური შესაბამისად მაღალია, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მის ნახევარს შეადგენს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე 41-ე მუხლი: „თუ კაცმან ხუცისა ცოლსა უარშიყოს და დასტურად თანაყოფა გამოჩნდის, და ხუცმან შეუგნოს, თუ წირვა დააგდოს ცოლი რასა თვისმე არა დააგდოს, სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუურვოს. და თუ ცოლი დააგდოს ნახევარი სისხლი ცოლსა განქიქებისათვის დაუურვოს“.[3]

ცალსახაა, რომ კანონმდებლის მიდგომა თვალსაჩინოდ განსხვავდება თანამედროვეობაში არსებული ხედვისაგან. რა თქმა უნდა, მოქმედ კანონმდებლობას ჩვენ დეტალურად შევეხებით, თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს ის აშკარა განსხვავება, რაც ბექა-აღბუღა სამართლის წიგნის განხილვისას შეიმჩნევა. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პიროვნების **სოციალური სტატუსი**. დანაშაულის შემადგენლობას ქმნის სწორედ ქმედების ჩადენა დაოჯახებული; დიდგვაროვანი ქალბატონის ან საეკლესიო მსახურის მეუღლის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მოწმობს მასზედ, რომ მართალია, ამ საკანონმდებლო ძეგლში შეტანილია ადათობრივი სამართლის ნორმები, რომლებიც ზრუნავს ოჯახის სიწმინდესა და ზნეობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებზე, თუმცა მათ აშკარა კლასობრივი შინაარსი აქვთ და ფაქტობრივად ასახავენ ფეოდალურ წოდებათა

[2] დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 297.
[3] იქვე, გვ. 304.

გაბატონებულ მდგომარეობას. თანამედროვე კანონმდებლობაში მნიშვნელობა არ ენიჭება დაზარალებული მხარის სოციალურ სტატუსს. უფრო მეტიც, ზოგადად ითვლება, რომ: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა“.[4]

ახლა კი მოდით, გადავინაცვლოთ მომდევნო სამართლებრივ ძეგლზე. კერძოდ განვიხილოთ ქართული სახელმწიფო სამართლის წყარო - „დასტურლამალი“, რომელიც მეფე ვახტანგ VI-მ შეადგინა 1707-1709 წლებში. მართალია, XVI-XVIII საუკუნეებში უკიდურესად მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლა ფეოდალებსა და ყმებს შორის, თუმცა „დასტურლამალი“ ითვალისწინებს ერთ უნიკალურ მუხლს, რომლითაც პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად მიიჩნევს ყმის მიერ მოძალადე ბატონისათვის სიცოცხლის მოსპობას ცოლის პატივისა და ღირსების შელახვისათვის. ეს მაშინ, როდესაც საუკუნეების მანძილზე ფეოდალურ წყობილებაში არსებობდა ისეთი დასაგმობი ჩვეულება, როგორიც იყო ბატონის „პირველი ღამის“ უფლება. აღნიშნული ცალსახად წარმოადგენდა სქესობრივ დანაშაულს. თუმცა, ასეთად დიდი ხნის მანძილზე არ აღიქმებოდა. ვახტანგ VI-ის ,,დასტურლამალი'' კი თითქოს ამ ერთი მუხლით ყმების პატივისა და ღირსების შელახვის საუკუნოვან ტრადიციას ეწინააღმდეგება.

ფეოდალური სამართლის წიგნებში ყმის ოჯახურ-ზნეობრივი პატივისა და ღირსების ასეთი დაცვა მეტისმეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ამის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI-ის კრებული თავისი მოცულობით მეტად დიდ საკანონმდებლო მასალას შეიცავს, მასში მოთავსებულია როგორც ეროვნული, ისე უცხოური სამართლის ნორმები და სრულიად ბუნებრივია, ამ სხვადასხვა ნორმებში ასახულია საკმაოდ განსხვავებული იურიდიული პრინციპები, ვინაიდან ისინი სხვადასხვა ხალხებს, ისტორიულ ეპოქებსა და კულტურის განსხვავებულ დონეს გამოხატავენ[5].

მართალია, ზემოაღნიშნული ძეგლების გარდა ქართული სამართლის ისტორია სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ძეგლებსაც იცნობს, თუმცა მათში სქესობრივი

---

[4] საქართველოს კონსტიტუცია, თავი 2, მუხლი 14, 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346, (მოძიებულია: 20.02.2019).

[5] ვაჩეიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბ., 1946, გვ. 67.

დანაშაულის რეგულირებას ცალკე მუხლები არ ეთმობა. აქედან გამომდინარე უმჯობესია, გადავინაცვლოთ სამართლის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა საეკლესიო კანონმდებლობა.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების საერო სამართლის ძეგლებზე დიდი გავლენა იქონია კანონიკურმა სამართლამა. აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქართული საეკლესიო სამართლის მოქმედების ასპარეზი მხოლოდ წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, არამედ უფრო ფართო დანიშნულება ჰქონდა.[6] ეკლესია თავისი წესწყობილებით მეორე სახელმწიფო იყო და ფართო პოლიტიკურ-უფლებრივი შეუვალობით სარგებლობდა.

ძველი საეკლესიო სამართალი სქესობრივი დანაშაულის სხვადასხვა სახეს იცნობდა, მათ შორის: 1. სიძვასა და 2. მრუშობას.

**სიძვად** ითვლებოდა დაუქორწინებელი ქალ-ვაჟის სქესობრივი კავშირი, რაც მკაცრად ისჯებოდა, კერძოდ 7 წელს უზიარებლად ტოვებდა მსიძავსაც და მეძავსაც. **მრუშობა** გათხოვილი ქალის ან დაოჯახებული კაცის უცხო კაცთან ან ქალთან სქესობრივ კავშირს ეწოდებოდა, რისთვისაც საეკლესიო კანონმდებლობა 15 წელს უზიარებლად ყოფნას აწესებდა.

დანაშაულის ცალკე სახედ იყო მიჩნეული **სისხლის აღრევა**. იგი სქესობრივ დანაშაულთა ნაირსახეობად გვევლინება, რასაც საეკლესიო კანონმდებლობა უწოდებს „თვისთა ნათესავთა თანა აღრევა“-ს. ამავე საკითხებზე მსჯელობას ვხვდებით XVI საუკუნის ძეგლებში, რომელიც კათალიკოსთა სამართლად არის წოდებული. „ეპისკოპოსი თუ... არ იცის ეკლესიის, მისი ქონების, დიდი სჯულის კანონის წინააღმდეგ ნებას რთავს „უხვედრო“ (ნათესავთა) ქორწინებაზე, ასეთი ეპისკოპოსი დაიწყევლოს და ექსორიაქმნილ იყოს თავისი საყდრისგან (მე-7 მუხლი)“.[7] აღნიშნულის გათვალისწინებით ნათესავთა შორის ქორწინება სქესობრივი დანაშაულის კატეგორია იყო, რომლისთვისაც გარდა თავად დაქორწინებულებისა, სასულიერო პირებიც ისჯებოდნენ.

სქესობრივი დანაშაულის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა მამათმავლობა. ე.ი სქესობრივი კავშირი მამაკაცთა შორის, ასევე მამაკაცისა და დედაკაცის გაუკუღმართებული სქესობრივი ურთიერთობა. იოანე მმარხველის თხზულებაში

---

[6] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ.,1928, გვ. 18.

[7] სურგულაძე ი., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 2000, გვ. 192.

საუბარია: „დედათაცა თანა მამათმავლობაი, რომელსა შთავარდებიან მამაკაცნი“, რომელნიცა „ბუნებითსა მას საქმეს დაუტეობენ“ და არაბუნებრივად „აიძულებენ სიძუად უბადრუკთა მათ დედათა თანა“.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლით გათვალისწინებულ სქესობრივ დანაშაულთა ფენომენს ადრეული პერიოდიდან ეთმობოდა ყურადღება არა მარტო ეკლესიის მსახურთა, არამედ სახელმწიფო მეთაურთა საქმიანობაშიც.

## 1.2 სქესობრივი დანაშაული ქართულ კანონმდებლობაში საბჭოთა კავშირის არსებობის დროს

ყურადღებას გავამახვილებთ იმ ფუნდამენტურ განსხვავებებზე, რაც არსებობს დღეს მოქმედ კანონმდებლობასა და საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მიდგომებს შორის:

ა) საქართველოს საბჭოთა დროინდელი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი იწყებოდა სახელმწიფო დანაშაულებით. სისხლის სამართლის კანონმდებლობა უფრო  მკაცრად იცავდა სახელმწიფო ინტერესებს, პიროვნების ინტერესებთან შედარებით. კერძოდ სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები რეგულირდებოდა სსკ-ის III თავით. ამჟამად მოქმედი კოდექსის კერძო ნაწილის სისტემა კი შეესაბამება ღირებულებათა კონსტიტუციურ ტრადიციას. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონკრეტული სახე, სქესობრივი დანაშაული დარეგულირებულია სსკ-ის I თავით.[8]

ბ) აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისხლის სამართის კოდექსი ითვალისწინებდა სქესობრივი დანაშაულის შემდეგ შემადგენლობებს: გაუპატიურება; ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის; სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი; გარყვნილი ქმედება და მამათმავლობა. საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით გაუპატიურება წარმოადგენს ქალის ნებისა და თანხმობის გარეშე მასთან სქესობრივი კავშირის დაჭერას, ფიზიკური ან ფსიქიკური

[8] ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართლის  კერძო ნაწილი, ტ. I, თბ., 2008, გვ. 22-23.

ძალადობის მეშვეობით, ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.[9] სწორედ აღნიშნული შემადგენლობის ანალიზი თვალსაჩინოს ხდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განსხვავებას საბჭოთა და თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსებს შორის.

სოციალისტური სამართლის თანახმად, გაუპატიურებისას დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ ქალი, რადგან მამაკაცის ნების საწინააღმდეგოდ ქალს მასთან ნორმალური სქესობრივი კავშირის დაჭერა არ შეუძლია. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი სრულიად განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს და ქმედებას გაუპატიურებით აკვალიფიცირებს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც მამაკაცის ნების საწინააღმდეგოდ მოხდება მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება. მიგვაჩნია, რომ კანონმდებელმა მართებულად შეავსო ამ კუთხით არსებული ხარვეზი.

„სქესობრივი კავშირი“ სამედიცინო კატეგორიაა და ნიშნავს ნორმალურ ფიზიოლოგიურ აქტს, რომელსაც ადგილი შეიძლება ქონდეს მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის, სასქესო ორგანოების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ გაუპატიურება ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავე სხვადასხვა ხერხის გამოყენებით დაიწყებს სქესობრივი კავშირის დამყარებას დაზარალებულთან.[10] თავად „დასაწყისში'' მოიაზრება მამაკაცის სასქესო ორგანოს ქალის გენეტალიაში მოთავსების ეტაპი. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დაზარალებული მამაკაციც იყოს, ქალმა დაიწყოს სქესობრივი კავშირი და აქ უკვე მნიშვნელობა არ ენიჭება სქესობრივი აქტის ბოლომდე დასრულებას საიმისოდ, რომ ქმედება გაუპატიურებად დაკვალიფიცირდეს.

გ) გაუპატიურების, როგორც სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციისას საბჭოთა კანონმდებლობა კიდევ ერთ განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გაუპატიურებად ითვლება ქალთან იძულებითი სქესობრივი კავშირი არამარტო ნორმალური, არამედ გაუკუღმართებული ფორმითაც: „ა“ ცდილობდა ხუთი წლის გოგონას გაუპატიურებას, რადგან ნორმალური გზით ეს ვერ მოახერხა, მიმართა გაუკუღმართებულ ფორმას. სსრ

[9] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი III, მუხლი 117, ნაწილი I, გამომც. ,,სამართალი“, თბ., 1997 წლის 1 მაისის მდგომარეობით;

[10] ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტ. I, თბ., 2008, გვ. 165.

კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1964 წლის 28 მარტის დადგენილებაში ამ საქმეზე მიუთითა, რომ დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო ძალადობის მეშვეობით არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დაჭერაზე. საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, დამნაშავის მოქმედება, რომელიც გამოიხატება მცირეწლოვანთან ძალადაბით გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირის დაჭერაში, წინასწარი გამოძიების ორგანოებმა სწორად დააკვალიფიცირეს როგორც გაუპატიურება. დღესდღებით კი გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის ძალადობით დამყარება კვალიფიცირდება არა გაუპატიურების, არამედ სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების მუხლით.

დ) სამართლებრივ მიდგომებში შემდგომი თვალსაჩინო განსხვავება კვლავ დანაშაულის მსხვერპლის სქესს ეხება. კერძოდ საქართველოს სსრ სსკ-ის 118-ე მუხლი ითვალისწინებს ქალის იძულებას სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის, მატერიალური, სამსახურებრივი, ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით. ისევე როგორც გაუპატიურებისას, ამ მუხლშიდაც დაზარალებულად მიჩნეულია მხოლოდ ქალი, რაც საბჭოთა კანონმდებლობის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს. დაზარალებულად შეიძლება მოიაზრებოდეს მამაკაციც, რადგან თუ საუბარია სქესობრივი კავშირის იძულებაზე მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, რატომ არ შეიძლება, რომ მამაკაცი იმყოფებოდეს ამგვარ დამოკიდებულებაში სუსტი სქესის წარმომადგენლებთან. ამის არაერთი შემთხვევა შეიძლება შეგვხვდეს ცხოვრებაში.

ზემოთ დასახელებული მუხლების განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა საზოგადოება იმდენად ძლიერ სუბიექტად აღიქვამდა მამაკაცს, არ უშვებდა იმის ალბათობას, რომ ის შეიძლება გამხდარიყო სქესობრივი ძალმომრეობით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი. თითქოს, კანონმდებელი უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ თუნდაც გაუპატიურების ობიექტური მხარე არამარტო ძალადობით ქმედების განხორციელებას შეიცავს, არამედ დანაშულის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ჩადენასაც ითვალისწინებს, რაც დანაშულის სამიზნედ როგორც სუსტი, ასევე ძლიერი სქესის წარმომადგენლებსაც ხდის. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხარვეზები წარმატებითაა შევსებული დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსით.

ე) ერთ-ერთი სპეციფიკური პუნქტი სსრ სსკ-ში არის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად გაუპატიურების ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ დამამძიმებელი გარემოებაა. დღვანდელი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს „რეციდივისტის“ ცნებას. მართალია, არსებობს დანაშაულის რეციდივის ფენომენი, რომელიც სსკ-ის მე-17 მუხლის მიხედვით გულისხმობს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, თუმცა მოქმედი სსკ-ის 137-ე მუხლით, რომელიც გაუპატიურებას ეხება, დამამძიმებელი გარემოება არა რეციდივი, არამედ დანაშაულის არაერთგზისობაა. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს გაუპატიურების ან სხვა სქესობრივი დანაშაულის მუხლით ნასამართლევი პირის მიერ კვლავ გაუპატიურების ჩადენას. „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის“ ფენომენი წმინდა საბჭოთა მიდგომას ასახავს დამნაშავეთა მიმართ, ახდენს მათ სტიგმატიზაციას[11] და ხაზგასმას მასზედ, რომ „რეციდივიზმი“ თავის თავში მოიაზრებს დასაგმობ ქმედებას და თუნდაც პირს ადრე არ ჰქონდეს ჩადენილი სქესობრივი დანაშაული, მის მიერ გაუპატიურების ჩადენა ნებისმიერ შემთხვევაში ჩაითვლება კვალიფიციურ შემადგენლობად.

ვ) არანაკლებ საყურადღებოა სსრ სსკ-ის 119-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომ დასჯადია **„სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან სქესობრივი კავშირი“**. აღნიშნული ქმედება გაუპატიურებისაგან განსხვავდება ნებელობის მომენტით, ე.ი ხდება მსხვერპლის ნებით. მსგავსი მომენტი დღევანდელი სსკ-ის 140-ე მუხლითაა გათვალისწინებული. საბჭოთა სასამართლო პრაქტიკაში ხშირად იწვევდა შეცდომებს სქესობრივი სიმწიფისათვის მიღწევის ფაქტის დადგენა. სახელდობრ, ბრალდებულს არ შეეძლო განესაზღვრა, მიღწეული ჰქონდა თუ არა დაზარალებულს სქესობრივი სიმწიფისათვის. ამჟამად 140-ე მუხლში (სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან) ასაკობრივი კრიტერიუმის შეტანა დადებით ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. 16 წელი - ესაა პერიოდი, როდესაც სქესობრივ სიმწიფეს აღწევს მოზარდთა აბსოლუტური უმრავლესობა და ამ პერიოდში მათი მხრიდან სქესობრივი ურთიერთობანი არსებით ზიანს არ აყენებს ჯანმრთელობასა და სრულყოფილ ადამიანად მათ ჩამოყალიბებას.[12] შესაბამისად, კანონში შეტანილი ცვლილება უზრუნველყოფს პრაქტიკაში არსებული პრობლემის გადაჭრას, რაც

[11] სტიგმატიზაცია- ამა თუ იმ კატეგორიის ადამიანის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისკრიმინაცია.
[12] წულაია ზ., დანაშული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 179-180.

დაკავშირებული იყო დამნაშავისათვის კონკრეტული დანაშაულის შერაცხვის ფაქტთან.

ზ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის ისეთი შემადგენლობის განხილვა, როგორიცაა მამათმავლობა, გათვალისწინებული სსრ სსკ-ის 121-ე მუხლით.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთში **ჰომოსექსუალობა** კანონით ისჯებოდა. ვლადიმერ ლენინმა ხელისუფლებაში მისვლისთანავე მისი დეკრიმინალიზაცია მოახდინა. 1934 წელს სტალინის უშუალო მითითებით, საბჭოთა კავშირში კვლავ აღდგა სისხლის სამართლის დევნა ჰომოსექსუალ მამაკაცთა მიმართ. XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა კავშირში ქალაქის სივრცის **„სოციალური ანომალიების“** გასაწმენდად გამართული დაუნდობელი სახელმწიფო კამპანია შეეხო ჰომოსექსუალურ სუბკულტურასაც. პროდუქტიული სქესობრივი კავშირი წარმოადგენდა სოციალიზმისათვის ბრძოლის ორგანულ ნიშანს, ჰომოსექსუალობა კი ხელს უშლიდა „რაციონალურ ადამიანთა წარმოქმნას“, და შესაბამისად, თავად სოციალისტურ მშენებლობასაც. ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქისათვის ჰომოსექსუალობის ცნებამ წლების მანძილზე შეიძინა უაღრესად დასაძრახი, სამარცხვინო და ზიზღის აღმძვრლი კონტექსტი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კანონმდებლობა დასაგმობად მიიჩნევდა მხოლოდ მამათმავლობას, ე.ი მამაკაცთა შორის სქესობრივი კავშირის დამყარებას და არ განიხილავდა ქალბატონთა შორის სქესობრივ ურთიერთობას, ლესბოსელობას, დანაშაულად. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი აღნიშნულ ხარვეზს ავსებს და დანაშაულად თვლის იძულებით სქესობრივ კავშირს, როგორც მამათმავლობის, ასევე ლესბოსელობის სახით.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება პიროვნებას კარნახობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქმედების გარკვეულ მოდელებს, რომელთა მიღმა გადაბიჯება სასტიკად ისჯებოდა. თითქოს პიროვნების უფლება აღმატებულად განიხილებოდა ყველა სხვა ღირებულებასთან შედარებით, თუმცა თავად სსრ სსკ-ის სტრუქტურა თვალსაჩინოს ხდის, რომ სოციუალისტური წყობილებისათვის უპირატესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესები იყო. მართალია, ითვალისწინებდა პიროვნების დაცვის სისხლისსამართლებრივ

მექანიზმებს, თუმცა არსებითი ხარვეზებით, რაც საბედნიეროდ, დღევანდელი კანონმდებლობით წარმატებითაა შევსებული.

## 1.3 სქესობრივ დანაშაულთა ზოგადი სისხლისსამართლებრივი დახასიათება მოქმედ საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით

სახელმწიფოში, დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმების სისტემაში, უპირატესი ადგილი ენიჭება ერთდროულად ჰუმანურობის შემცველი და ამასთანავე, არსებული რეალობის ობიექტური სიმკაცრით მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზას. საქართველოში სახელმწიფოს უზენაესი კანონია **კონსტიტუცია,** რომელშიდაც რეგლამენტირებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ძირითადი პრინციპები, მათ შორის პიროვნების სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვის განმსაზღვრელი დებულებები.

კონსტიტუციის შემდგომ, აღსანიშნავია საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების როლი, კერძოდ „**ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია**“ ეროვნული კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია და შესაბამისად შეიცავს ადამიანის უფლებათა მარეგულირებელ ნორმებს, მათ შორის სქესობრივი დანაშაულის სფეროში. ევროპული კონვენცია, საქართველოს კოსტიტუციის მსგავსად, კრძალავს წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას,[13] რომელიც შეიძლება იყოს სქესობრივი დანაშულის ჩადენის ობიექტური მხარის ნიშანი.

საქართველოში დანაშაულობასთან ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სისხლის სამართლის კოდექსს, რომლის XXII თავში მოცემულია სქესობრივი დანაშაულების დახასიათება. ეს ისეთი მართლსაწინააღმდეგო და განზრახი ქმედებებია, რომლებიც ხელყოფს სხვის სქესობრივ თავისუფლებას ან ხელშეუხებლობას, ასევე რიგ შემთხვევებში მოზარდთა ნორმალურ ზნეობრივ და ფიზიკურ განვითარებას.[14]

---

[13] ევროსაბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“, თავი I, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi5.pdf, (მოძიებულია: 26.02.2019);

[14] ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტ. I, თბ., 2008, გვ. 159.

განსახილველ თავში შემავალ დანაშაულთა შემადგენლობებს გააჩნიათ გასხვავებული საშიშროების ხარისხი, რისი მხედველობაში მიღებითაც შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია ორ ჯგუფად:

**ა) ძალმომრეობითი დანაშულები:** გაუპატიურება (მუხლი 137-ე); სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (მუხლი 138-ე); სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (მუხლი 139-ე).[15]

აღნიშნულ დანაშაულთა სამართლებრივი დაცვის **ობიექტი** არის *სქესობრივი თავისუფლება*, რაც ნიშნავს პირის უფლებას, საკუთარი სურვილით აირჩიოს (ან არ აირჩიოს) სქესობრივი პარტნიორი.

*სქესობრივი ხელშეუხებლობაც* შეიძლება მოგვევლინოს ამ დანაშაულთა დაცვის ობიექტად. იმ შემადგენლობებში, რომლებიც გათვალისწინებულია 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტსა (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის გაუპატიურება) და მე-4 ნაწილის ,,გ'' პუნქტში (გაუპატიურება იმისა ვისაც არ შესრულებია 14 წელი); ასევე 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტსა (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) და მე-4 ნაწილის ,,გ'' პუნქტში (იგივე ქმედება ჩადენილი იმის მიმართ ვისაც არ შესრულებია 14 წელი).

*სქესობრივი ხელშეუხებლობა* ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ პიროვნებასთან (არასრულწლოვანთან) სქესობრივი კავშირი კანონით აკრძალულია მისი თანხმობის შემთხვევაშიც. ხელშეუხებლობაში იგულისხმება მორალური და საკანონმდებლო აკრძალვა, დამყარდეს სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც არ გააჩნია შესაძლებლობა, განსაზღვროს ქმედების არსი და შედეგი.[16]

*სქესობრივი ხელშეუხებლობა* გვევლინება დაცვის ობიექტად :

**ბ) არაძალმომრეობით სქესობრივ დანაშაულებში,** როგორიცაა სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (140-ე მუხლი) და გარყვნილი ქმედება (141-ე მუხლი). არასრულწლოვნებთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამართლებრივი დაცვის დამატებითი ობიექტი არის ამ პირთა ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება.

---

[15] წულაია ზ., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 147.

[16] Пионтковский,А. А, Учение о преступлении по советскому уголовному праву, М. 1961, С. 134.

**დაზარალებულად** სქესობრივ დანაშაულებში შეიძლება მოგვევლინოს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი, როგორც სრულწლოვანი ასევე არასრულწლოვანი.

**ობიექტური მხარე** ხასიათდება ბრალდებულთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირი დაიწყებს სქესობრივ კავშირს ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დაჭერას სხვა პირთან და შედეგის დადგომა სავალდებულო არ არის. სქესობრივ დანაშაულთა უმეტესობა ფორმალური შემადგენლობით ხასიათდება და საკმარისია კანონში მითითებული ქმედების განხორციელება ( მაგ.: მუხ. 139 - სქესობრი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება). თუმცა, ზოგიერთი მათგანის დამთავრებისათვის აუცილებელია შედეგის დადგომაც და ხასიათდებიან მატერიალური შემადგენლობით (მაგ. 137-ე მუხლის „ბ“ პუნქტი - გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა).

დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას რაც შეეხება, გამოძიებისას აუცილებელია სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული, როგორც დაზარალებულის, ისე ქმედების ჩამდენი პირისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაში გამოიხატებოდა პირის ფიზიკური ძალადობა, მუქარა ან უმწეო მდგომარეობის გამოყენება. გარკვეულ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის ხერხსა და საშუალებას მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს (მაგ. 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა'' პუნქტი - გაუპატიურება ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით). ზოგ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება გავლენას არ ახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე (მაგ. 140-ე მუხლი - სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან).

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო და გარემოებები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს დანაშაულის ჩადენის ხერხს: გაუპატიურება ჩადენილი დაზარალებულის მოტყუებით უკაცრიელ ადგილზე გაყვანით[17].

საკუთარი მიზნის განსახორციელებლად, ზოგჯერ მოძალადე წინასწარ არჩევს ადგილს, დროსა და ზემოქმედებისათვის საჭირო იარაღსა და საშუალებას. მაგ. ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერების მიცემით ან ფიზიკური ზემოქმედებით მიჰყავს მსხვერპლი გონების დაკარგვამდე.

[17] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, პროფ. გ. მამულაშვილის რედ., თბ., 2016.

გამოძიების პროცესში ზემოაღნიშნულ გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა და მიღებული მონაცემების სწორი ანალიზი საშუალებას იძლევა, ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მოძალადის პიროვნებასა და ხასიათზე, ქმედების ჩადენის ხერხსა თუ საშუალებაზე.[18]

სქესობრივი დანაშაულის **სუბიექტი** უმეტეს შემთხვევაში არის 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. ზოგ შემთხვევაში სახეზეა *სპეციალური სუბიექტიც*. კერძოდ, გაუპატიურება ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' პუნქტი) ან გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე აქვს ჩადენილი რომელიმე სახის სქესობრივი დანაშაული ( სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტი).

დანაშაულის **სუბიექტური მხარე**_ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, რაც გულისხმობს, რომ პირს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი.[19]პირის მოტივი ძირითადად სექსუალური ხასიათისაა, თუმცა შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო შურისძიება, დაქირავება და ა.შ.

მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რა არის  სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების **საფუძველი**[20]. მოძალადის მიერ გაუპატიურების ან ძალადობით ჩადენილი მამათმავლობის, ლესბოსელობის ან სხვაგვარი გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარების სახე, ცნობა ან ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნას სამართალდამცავ ორგანოებში ან უშუალოდ დაზარალებულის მიერ განცხადების შეტანით, ან მის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისათვის განხორციელებული სატელეფონო შეტყობინებით. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული მცირეწლოვანია, მომხდარი სქესობრივი ძალადობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება შეტანილ იქნეს ამ მცირეწლოვნის მშობლის ან მისი ახლო ნათესავის მიერ. თუკი ქმედების შესახებ ინფორმაცია გახმაურდა მედიის საშუალებით, მაშინ პროკურორი უნდა დაინტერესდეს და

---

[18] ფაფიაშვილი შ., მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და განხილვის მეთოდების პრობლემები, თბ., 2004, გვ. 121;

[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი III, მუხლი 9, 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426, (მოძიებულია: 27.02.2019);

[20] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015.

სასწრაფოდ შეისწავლოს საქმე ან მისი შესწავლა დაავალოს შესაბამის თანამდებობის პირს.

სქესობრივ დანაშაულთა სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ შემოტანილი განცხადების ან ცნობის დეტალურ შემოწმებას. კერძოდ, ინფორმაციის მიღებიდან დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სქესობრი ურთიერთობით ხელყოფილი პირისა და სავარაუდო მოძალადის გამოკითხვა. აუცილებელია სრულყოფილი და ობიექტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, სხვადასხვა სახის ექსპერტიზის დანიშვნა და სხვა. თუ მონაცემთა შემოწმება მიუთითებს მასზედ, რომ დანაშაულებრივ ქმედებას მართლაც ჰქონდა ადგილი და ის შეიცავს სქესობრივი დანაშაულის ჩადენის ან მცდელობის ნიშნებს, მაშინ ამ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე დაუყოვნების უნდა დაიწყოს გამოძიება.[21]

2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით გაცილებით მკაცრი სასჯელები დაწესდა სქესობრივ დანაშაულებზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელმწიფოს მიდგომა სქესობრივი დანაშაულებისადმი არსებითად გამკაცრდა და სანქციათა სახე გათვლილია მასზედ, რომ არათუ ჩადენის, არამედ გაფიქრების სურვილიც არ გაუჩნდეს რომელიმე პირს, ჩაიდინოს მსგავსი სასტიკი დანაშაული. სახელმწიფო სერიოზულობით უდგება სქესობრივ დანაშაულთა ფენომენს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტად უზრუნველყოს საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა და მოახდინოს აღნიშნულ დანაშაულთა პრევენცია.

[21] ფონდი ,ღია საზოგადოება“, გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების პრეცედენტის სახელმძღვანელო, თბ., 2006.

# თავი 2. სქესობრივ დანაშაულთა დეტალური სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური დახასიათება

## 2.1 ძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაულები, განხორციელებული სრულწლოვანთა მიმართ

სქესობრივი დანაშაული - ეს ისეთი მომეტებული საშიშროების ქმედებაა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, პატივისა და ღირსების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.[22] სწორედ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის XXII-ში, რომელიც არეგულირებს სქესობრივ დანაშაულებს, გავლებულია ხაზი სქესობრივ ცხოვრებაში დასაშვებსა და დაუშვებელ ქმედებებს შორის.

სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავის პირველი მუხლი ეხება ყველაზე საშიშ სქესობრივ დანაშაულს - გაუპატიურებას. ამა თუ იმ ქვეყანაში სქესობრივი დანაშაულის ამ სახეობაში სხვადასხვა იდეაა წინ წამოყენებული. ასე მაგალითად, რუსულად ,,изнасилование''-ში ჩადებულია ძალმომრეობის, ძალადობის იდეა. ქართულად კი სიტყვა გაუპატიურებაში წინ წამოწეულია სხვისი პატივის შელახვის, პატივის ხელყოფის იდეა. ამდენად, საქართველოში ამ დანაშაულის შეფასებისას მთავრი ყურადღება ექცევა არა ძალადობის გამოყენების ფაქტს, არამედ სხვისი პატივის უხეშ შელახვას. სწორედ ამით აიხსენება ჩვენს ქვეყანაში ამ სახის დანაშაულისადმი განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება.[23]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გაუპატიურება არის: „პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“. გაუპატიურების ცნების გასაანალიზებლად საჭიროა, გავეცნოთ ამ დანაშაულის შემადგენლობას, ე.ი. კანონით გათვალისწინებულ იმ ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც ახასიათებენ მოცემულ ქმედებას, როგორც საზოგადოებრივად საშიშსა და უმკაცრესად დასჯადს.

---

[22] Игнатов А.Н., Квалификация половых преступлений, М., 1974, С. 21;

[23] ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2008, გვ.161.

დანაშაულის ნიშნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დანაშაულის **ობიექტს**. ის წარმოადგენს იმ სიკეთეს, რომელიც განიცდის ხელყოფას. ამასთანავე გარკვეულწილად განსაზღვრავს ქმედების ბუნებასა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. დანაშაულის უშუალო ობიექტი არის *სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა.*

***სქესობრივი თავისუფლება,*** ე.ი სქესობრივად მომწიფებული პირის უფლება საკუთარი ნებით განსაზღვროს საკუთარი სქესობრივი ცხოვრება, ***სქესობრივი ხელშეულებლობა*** სქესობრივად მოუმწიფებელ პირთან კავშირის კანონით სრულად აკრძალვა, ამ პირის თანხმობის შემთხვევაშიდაც.

გაუპატიურების ფაკულტატური ობიექტი კი შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა; არასრულწლოვანთა შემთხვევაში კი - ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება.

გარდა დანაშაულის ობიექტისა ანუ დაცული სიკეთისა, უნდა შევეხოთ დანაშაულის მსხვერპლს, დაზარალებულს - ე.ი პირს, რომლის სიკეთესაც ადგება ზიანი. წინა თავში ჩვენ შევეხეთ აღნიშნულ საკითხს და განვიხილეთ თუ რა განსხვავება არსებობს საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით ჩამოყალიბებულ და თანამედროვე კანონმდებლის მიერ აღიარებულ მიდგომებს შორის. დავადგინეთ, რომ სქესობრივ დანაშაულში, კერძოდ კი გაუპატიურებისას დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი სქესის წარმომადგენელი. აგრეთვე პასუხისმგებლობის გადაწყვეტისას მნიშვნელობა არ ენიჭება თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა დამნაშავეს დაზარალებულთან (ისინი შეიძლება იყვნენ მეუღლეები; ახლობლები ან სრულიად უცნობი პირები), როგორია დაზარალებულის მორალური სახე (ის შეიძლება იყოს მეძავი).[24]

გაუპატიურების ობიექტური მხარე გამოიხატება შემდეგ **ქმედებებში**:

1. სქესობრივი კავშირი ფიზიკური ძალადობით.

კანონმდებელი აღნიშნულ მუხლში მოიაზრებს ძალადობრივ სქესობრივ კავშირს ქალსა და მამაკაცს შორის ბუნებრივი ფორმით. ძალადობა შესაძლოა გამოიხატებოდეს ცემაში, გათოკვაში, ძალდატანებით დაკავებაში, საშველად სხვა პირთა მოხმობის შესაძლებლობის წართმევაში (მაგ. პირში ჩვრის ჩაჩრა.), ე.ი

[24] ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2008, გვ. 162.

ჯანმრთელობის მსუბუქ ან ნაკლებად მძიმე დაზიანებაში. შესაძლოა, დამნაშავე ზემოქმედებდეს ადამიანის სხეულზე ან შინაგან ორგანოებზე გარეგანი ქსოვილის დაუზიანებლად (დათრობა, ნარკოტიკით გაბრუება).[25]

ფიზიკური ძალადობის ნიშნების გარკვევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ზოგ შემთხვევაში ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის, განსაკუთრებით პირველი კონტაქტის დროსაც, ადვილი მოსალოდნელია, ქალის მხრიდან მორცხვობით ან სქესობრივი აქტის შიშით გამოწვეული წინააღმდეგობა. ცხადია, ასეთი რამ არ შეიძლება იყოს საფუძველი მამაკაცის სისხლისსამართლის პასუხისგებაში მიცემისა, რადგან ასეთი „მოჩვენებითი" წინააღმდეგობის დაძლევა არ წარმოადგენს ძალადობით სქესობრივი აქტის დამყარების ხერხს. სწორედ აქ წამოიჭრება სადავო საკითხი, რომელიც ეხება წინააღმდეგობის **ხარისხისა და ნამდვილობის** დადგენის პრობლემას.

სამართლებრივ პრაქტიკასა და თეორიაში არსებობდა პერიოდი, როდესაც დაზარალებულისაგან სავალდებულოდ მოითხოვდნენ ისეთ ქმედებათა განხორციელებას, როგორიც იყო ყვირილი, საშველად მოხმობა, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივი გაცხადება. მართალია, თანამედროვე სისხლის სამართალი არ მოითხოვს დაზარალებულისაგან აღნიშნულ ქმედებათა განხორციელებას, თუმცა სამართლებრივ თეორიაში მაინც არ არსებობს ერთიანი აზრი, თუ რა ხარისხისა და გამოხატულების უნდა იყოს წინააღმდეგობა, მისი რეალურობის დასამტკიცებლად. უმეტესად მიიჩნევა, რომ ძალადობის გამოვლენისას უნდა დაფიქსირდეს მსხვერპლის ისეთი მოქმედება, რომლიდანაც აშკარად შეიმჩნევა, რომ მას არ სურს სქესობრივი კავშირის ნებაყოფლობით დამყარება.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალი აქტიურ წინააღმდეგობას უწევს მოძალადეს მხოლოდ დასაწყისში, შემდგომ კი დუნდება და წყვეტს წინააღმდეგობას უფრო საშიში ძალადობის  თავიდან აცილების მიზნით ან თავის მდგომარეობის უიმედობის შეგრძნების გამო. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინააღმდეგობის რეალურობის დასამტკიცებლად საკმარისია ქალმა თავისი მოქმედებით გამოხატოს მტკიცე უარი სქესობრივი აქტის ძალადობით დამყარებამდე, გააკეთოს ყველაფერი,

[25] წულაია ზ., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 150.

რაც კი შეეძლო შექმნილ ვითარებაში სქესობრივი აქტის თავიდან ასაცილებლად კიდევ უფრო მეტი ძალადობის და დაზიანების პროვოცირების გარეშე. [26]

2. **სქესობრივი კავშირი ფსიქიკური ძალადობით, ე.ი. ძალადობის მუქარით.**

მუქარა შესაძლოა ჩაითვალოს გაუპატიურების ჩადენის საშუალებად, რომელიც პირს უკიდურესად აუცილებელ მდგომარეობაში აყენებს და ამის გამო გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს აიძულებს, დანებდეს მოძალადეს მისთვის არანებაყოფლობით სქესობრივ კავშირზე.

*გამოუვალ მდგომარეობაში* პირს აყენებს მხოლოდ ისეთი მუქარა, რომელიც ობიექტურად საშიში, საკმაოდ ინტენსიური ხასიათისაა, შესაძლოა დაუყოვნებლივ განხორციელდეს და უშუალოდ ან სხვათა წინააღმდეგაა მიმართული, ე.ი ქმედება, რომელიც პირს აყენებს უმწეო მდგომარეობაში, რადგან არ შეუძლია მიიღოს ზომები თავის დასაცავად. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია, განიმარტოს ორი საკითხი.

უპირველესად, რა მნიშვნელობა ენიჭება **დროის შუალედს** მუქარასა და ქმედების რეალურად განხორციელების შესაძლებლობას შორის. წარმოვიდგინოთ, რომ დამნაშავემ შესაძლოა დაითანხმოს პირი იძულებით სქესობრივ კავშირზე იმის მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოუკლავს შვილს, რომელიც მათთან ერთად იმყოფება. რა თქმა უნდა, პირი შესაძლოა დასთანხმდეს არასასურველ სქესობრივ კავშირს შვილის გადასარჩენად, ვინაიდან არ შესწევს ძალა წინ აღუდგეს იმწუთიერ წინააღმდეგობას.

ახლა კი წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როდესაც მსხვერპლი მოძალადეს სარდაფში ჰყავს ჩამწყვდეული და ემუქრება, რომ თუ არ დასთანხმდება სქესობრივ კავშირზე, წავა მსხვერპლის სახლში და მოკლავს მის შვილს. ამ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს არ აქვს ობიექტურად შესაძლებლობა, ხელი შეუშალოს ამ მუქარის განხორციელებას, ან დახმარებისათვის სხვა პირს მიმართოს, დროის შუალედს მუქარიდან მის ხორცშესხმამდე მნიშვნელობა არ მიენიჭება.

ცხადია, პირს გამოუვალ მდგომარეობაში ყველანაირი მუქარა როდი აყენებს. მაგალითად, მოძალადე ურეკავს სავარაუდო მსხვერპლს და ემუქრება, რომ თუკი მასთან სქესობრივ კავშირს უახლოეს პერიოდში არ დამყარებს, შვილს მოუკლავს. ამ

[26] გურგენიძე გ., გაუპატიურება და სქესობრივი ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, თბ., 2006, გვ. 20.

დროს მართალია, მუქარა იმწუთიერია, თუმცა პირის ნება პარალიზებული არ არის და მას შეუძლია ყველაფერი იღონოს სავალალო შედეგის თავიდან ასაცილებლად.

ზემოთქულიდან გამომდინარე, მუქარის დაუყოვნებლივ აღსრულების შესაძლებლობაში იგულისხმება არა დროის სიმცირე მუქარასა და მის განხორციელებას შორის, არამედ დაზარალებულის უუნარობა, წინ აღუდგეს მუქარის სისრულეში მოყვანას, მის რეალურად განხორციელებამდე.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის თავად მუქარის **რეალურობისა და ინტენსიურობის** განსაზღვრის პრობლემა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა უნდა გადაწყვიტონ, არის თუ არა მუქარა **რეალური**. აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული მუქარის ადრესატის სუბიექტური წარმოდგენები, ვინაიდან ზოგჯერ თუნდაც არასერიოზული მუქარა გამოთქმული მგრძნობიარე, მშიშარა პირის მიმართ, შეიძლება საკმარისი გახდეს მისი წინააღმდეგობის დათრგუნვისათვის, ზოგჯერ კი იგივე მუქარა უფრო გაბედულმა პირმა არაფრად ჩააგდოს.

აუცილებელია, მხედველობაში იყოს მიღებული მუქარის ობიექტური კრიტერიუმი - მუქარის გამოთქმის ფორმა, ვითარება, დამნაშავე პიროვნება (მისი წარსულში ნასამართლობა, რომლის შესახებც მსხვერპლმა იცოდა). მოკლედ ყველაფერი, რაც დამნაშავემ თავისი მუქარისათვის რეალური და სერიოზული სახის მისაცემად გამოიყენა.[27]

გაუპატიურებისას გამოყენებულ მუქარასთან მჭიდრო კავშირშია მისი **ინტენსიურობა**. გაუპატიურების ჩადენის ხერხს ისეთი მუქარა წარმოადგენს, რომელიც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო ძალადობის გამოყენებას გულისხმობს.

**3. გაუპატიურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით.**

*უმწეო მდგომარეობაში* მოიაზრება, რომ პირს არ შეუძლია გააცნობიეროს იმ მოქმედების ხასითი, რომელიც მის თავს ხდება. დამნაშავის მოქმედების იურიდიული კუთხით შეფასებისათვის მნიშვნელობა არ აქვს, დაზარალებული მან ჩააყენა ასეთ მდგომარეობაში, თუ იგი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აქ მთავარი და გადამწყვეტია, თუ

[27] მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე ი., დანაშაული პიროვნების წინაამდეგ, თბ., 1980, გვ. 45.

როგორია დამნაშავის სუბიექტური დამოკიდებულება საკუთარი ქმედებისადმი, კერძოდ სქესობრივი აქტის განხორციელების მომენტში მას გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა, რომ დაზარალებული უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

დაზარალებულის უმწეობის სახეებია: ფიზიკური და ფსიქიკური უმწეობა.

**ა) ფიზიკური უმწეობა** გულისხმობს: ფიზიკურ ნაკლს, ორგანიზმის სისუსტეს, გამოწვეულს ავადმყოფობით; უმწეობა ასაკის გამო; სიტუაციური ხასიათის ფიზიკური უმწეობა. ფიზიკურ ნაკლთან გვაქვს საქმე, როდესაც დაზარალებულს არ აქვს რომელიმე ორგანო და ამის გამო არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს (მაგ. არ აქვს ხელები ან ფეხები). სიტუაციური ხასიათის ფიზიკურ უმწეობად ითვლება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში აღმოჩენა არა დამნაშავის, არამედ სხვა პირის მოქმედებით, ან შემთხვევით გარემოებათა გამო (მაგ. ავტო-საგზაო შემთხვევისას პირი ვერ გამოდის მანქანიდან და დამნაშავე ისარგებლებს ამით).

**ბ) ფსიქიკური უმწეობის** სახეა: დაზარალებულის შეურაცხადობა, მასთან სქესობრივი აქტის განხორციელების მომენტისთვის. დაზარალებული შესაძლოა შეურაცხადი იყოს, ე.ი ვერ აცნობიერებდეს საკუთარი ქმედების ფაქტობრივ ხასიათს, ან ვერ ხელმძღვანელობდეს მას ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა მიზეზების გამო.[28]

გაუპატიურების საქმეთა გამოძიების დროს, როდესაც ეჭვქვეშ დადგება დაზარალებულის შერაცხადობის საკითხი, აუცილებელია სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა.[29] აქედან გამომდინარე, შესაძლოა ერთი შეხედვით ადამიანი ვერ მიხვდეს შეურაცხადთან რომ აქვს საქმე, არც ამ სავარაუდო მსხვერპლმა გასწიოს წინააღმდეგობა, მაშ გამოდის რომ შესაძლოა უდანაშაულო ადამიანიც კი დაისაჯოს მსგავსი სასტიკი დანაშაულის ჩადენაში.

ჩვენ განვიხილეთ სქესობრივი დანაშაულის ობიექტური მხარის ისეთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი, როგორიცაა **ქმედება**, მისი განხორციელების ხერხი და

[28] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი IX, მუხლი 34, ნაწილი I, 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426, (მოძიებულია: 27.02.2019).

[29] ფაფიაშვილი შ., მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და გახსნის მეთოდიკის პრობლემები,თბ., 2004, გვ. 26; მ. ლომსაძე, ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, სახეები და ექსპერტის წინაშე დასასმელი კითხვები გამოძიების პროცესში, თბ., 2016.

საშუალებები, ახლა კი გადავინაცვლოთ არანაკლებ მნიშვნელოვან ელემენტზე, როგორიცაა მიზეზობრივი კავშირით გამოწვეული **შედეგი**.

დანაშაულის შედეგი თავის მნიშვნელობით არის ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც სპეციალურად აღინიშნება სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში.[30]

მატერიალურია შემადგენლობა გათვალისწინებული, მაგალითად სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტით: გაუპატიურება, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი. აგრეთვე იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტით: გაუპატიურება, რასაც მოჰყვა პირისათვის სიცოცხლის მოსპობა.

ფორმალურია შემადგენლობა სსკ-ის 137-ე მუხლის დანარჩენი პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის, საჭირო არ არის, რომ სქესობრივი აქტი დასრულებულ იყოს ბიოლოგიური თვალსაზრისით (ეიკულაცია) ან დაზარალებულმა ქალმა ქალწულობა დაკარგოს (დეფლორაცია). ამდენად დანაშაულის დამთავრებულად აღიარებისათვის მთავარია მამაკაცმა დაიწყოს ძალადობრივი სქესობრივი კავშირი, კერძოდ საკუთარი სასქესო ორგანოს ქალის გენიტალიაში შეყვანის პროცესი.[31]

ობიექტური მხარის ძირითადი ელემენტების - **ქმედებისა და შედეგის** განხილვის შემდგომ აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს ისეთ ცნებებზე, როგორიცაა გაუპატიურების მომზადება, მცდელობა და გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

**მომზადებაში** იგულისხმება გაუპატიურების ჩადენისათვის განზრახ პირობების შექმნა. მაგ.: ქალის განმარტოებულ ადგილას შეტყუება; ტანსაცმლის შემოხევა; სასმელში ნარკოტიკის შერევა, რათა მოძალადემ უგრძნობ მდგომარეობაში ჩააყენოს ქალი და ამით მიაღწიოს საწადელს.[32] თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მოძალადემ შესაძლოა გაუპატიურება ჩაიდინოს ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, უეცრად წარმოქმნილი განზრახვის ნიადაგზე.

---

[30] წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 67;
[31] წულაია ზ., დანაშაული ადამიანის წინაარმდეგ, თბ., 2000, გვ.153;
[32] იქვე, გვ.154.

**მცდელობას** რაც შეეხება, იგულისხმება ქმედება, რომელიც თუმცა მიმართულია გაუპატიურების ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

გაუპატიურებაზე ხელის აღება შესაძლოა მოხდეს როგორც დანაშაულის მომზადების, ასევე მცდელობის სტადიაზე. მომზადების სტადიიდან გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე დარწმუნებულია, რომ აქვს დანაშაულის გაგრძელების რეალური შესაძლებლობა და მიუხედავად ამისა თავად, სხვისი ჩარევისა და ძალდატანების გარეშე ხელს იღებს დანაშაულზე (მაგ. იმ სასმელის გადაქცევა, რომელშიდაც ნარკოტიკი იყო შერეული; ქალის გაშვება სარდაფიდან და სხვ.).[33]

მცდელობის სტადიაზე გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობისას. დაუმთავრებელი მცდელობის დროს ხელის აღება შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე პირი გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭირო იყო გაუპატიურების ბოლომდე მისაყვანად (მაგ. შეწყვეტს ფიზიკურ ძალადობას). დამთავრებული მცდელობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემშლელი გარემოება დამნაშავეზე დამოკიდებული არ იყო.

ერთგვარი თავისებურება ახასიათებს გაუპატიურებაზე ხელის აღებას **თანამონაწილეობის** დროს. თუ გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელს იღებს ამსრულებელი, იგი საერთო საფუძველზე გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ორგანიზატორი, დამხმარე და წამქეზებელი, რომელთა მოქმედება წარმოადგენს გაუპატურებისათვის პირობების შექმნას, პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის. თუმცა თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი აიღეს თანამონაწილეებმა, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებიან, თუ მიიღეს ზომები დანაშაულის ასაცილებლად და ქმედება არ იქნა ბოლომდე მიყვანილი, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ ხელის აღება განიხილება შემამსუბუქებელ გარემოებად სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს.[34]

---

[33] წულაია ზ., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 154;

[34] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თავი VI, მუხლი 21, ნაწილი III-IV, 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426, (მოძიებულია: 27.02.2019).

მოტივი, რის გამოც მოძალადე ხელს იღებს გაუპატიურებაზე შეიძლება იყოს: მონანიება; მსხველპლისადმი სიბრალული; დანაშაულის დაფარვის შეუძლებლობა; მკაცრი სასჯელის შიში და სხვ.[35]

**სუბიექტი** გაუპატიურებისას ძირითადად საერთოა. კერძოდ 14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, თუმცა შესაძლოა, სახეზე იყოს სპეციალური სუბიექტი (მაგ. სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტი: გაუპატიურება ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით).

**სუბიექტური მხარე**_გაუპატიურებისას გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. დანაშაულის მოტივი უმეტესად სექსუალურია, ე.ი სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილება ძალადობის გზით. ამასთან სამართლებრივი პრაქტიკა იცნობს გაუპატიურების შემთხვევებს სხვადასხვა, მათ შორის შურისძიების მოტივით (მაგ. ქალს არ სურდა ცოლად გაჰყოლოდა მოძალადეს).

**II სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება.** ესაა ისეთი ხასიათის ქმედება, რომელიც არ შეიცავს 137-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს, „ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით". ეს დანაშაული თავისი საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით უთანაბრდება გაუპატიურებას.

**III პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება.** განსახილველი დანაშაულის ძირითადი ობიექტი არის პირის სქესობრივი თავისუფლება, ხოლო ფაკულტატური - პირის პატივი და ღირსება. აღნიშნულ დანაშაულში დაზარალებულად გვევლინება ორივე სქესის წარმომადგენელი, როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანიც, თუმცა ამ უკანასკნელზე მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ.

**ობიექტური მხარე** გამოიხატება სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულებაში, როგორც პირადი საუბრისას, აგრეთვე კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებებით.

იძულება უნდა გავიგოთ, როგორც დაზარალებულზე ფსიქიკური ზემოქმედება იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი შევიდეს სქესობრივ კონტაქტში

[35] წულაია ზ., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2000, გვ. 155;

დამნაშავესთან. იძულება შესაძლოა გამოიხატოს როგორც აქტიურ მოქმედებაში (მაგ. მუქარა; დაყოლიება; დამორჩილება), ასევე პასიურ ქცევაში.

სსკ-ით გათვალისწინებულია იძულების სხვადასხვა ხერხი:

**შანტაჟი (სახელგამტეხი ცნობების გახმაურების მუქარა)** - გულისხმობს, ისეთი ნამდვილი თუ გამოგონილი ცნობების გახმაურების მუქარას, რომელიც სახელს უტეხს დაზარალებულს. ამ შემთხვევაში მნიშვნელიბა არ ენიჭება ნამდვილად ჰქონდა თუ არა დანაშაულის სუბიექტს ცნობების გახმაურების მიზანი, მთავარია დაზარალებულს წარმოეშვა ამის უტყუარი განცდა.[36]

**ქონებრივი დაზიანების მუქარა** - შესაძლოა ეხებოდეს როგორც მთლიან ქონებას, ასევე ნაწილს. მთავარია, ქონება იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მისი დაუზიანებლობის ინტერესი აიძულებდეს პირს, დასთანხმდეს მისთვის არასასურველ სქესობრივ კავშირს.

იძულება სხვადასხვა სახის დამოკიდებულების გამო:

**მატერიალური** - დამოკიდებულება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული იმყოფება ბრალდებულის კმაყოფაზე, იღებს მისგან ფულად დახმარებას (მაგ. არასრულწლოვანი, რომელიც ცხოვრობს მამინაცვალთან) ე.ი დაზარალებული არსებობის ძირითად საშუალებებს დამნაშავისაგან ღებულობს.

**სამსახურებრივ** - დამოკიდებულებაში მოიაზრება ის შემთხვევა, როდესაც დაზარალებული მოძალადის ხელქვეითია და ფაქტობრივად ამ უკანასკნელს აქვს შესაძლებლობა, უკანონო მოქმედებით შეავიწროვოს მუშაკი, რომელსაც სასიცოცხლოდ ესაჭიროება აღნიშნულ სამსახურში დასაქმება.

**სხვაგვარი** - დამოკიდებულება შეიძლება იყოს, მაგალითად საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და პატიმარს შორის.

აღნიშნული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულად ჩაითვლება სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულების მომენტიდან, მიუხედავად დამდგარი შედეგისა.

**სუბიექტი.** აღნიშნულ დანაშაულში სუბიექტი შესაძლოა იყოს საერთო (14 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი), ან სპეციალური (მამათმავლობის, ლესბოსელობის იძულებისას). აღნიშნული სუბიექტები ახდენენ მსხვერპლთა ქცევის

[36] Сухорев Е., Арямов А., Влияние уголовно-правовой категории "зависимость" на квалификацию преступлений, М., 1992, с. 4 .

მოტივაციას არასასურველი შედეგისაკენ, არ ართმევენ არჩევანის უფლებას, თუმცა უზღუდავენ მას.

**სუბიექტური მხარე** ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, რა დროსაც პირს შეგნებული აქვს საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი.

საბოლოოდ შესაძლოა ითქვას, რომ ჩვენ განვიხილეთ **ძალმომრეობითი ხასიათის** სქესობრივ დანაშაულთა კატეგორია, განხორციელებული სრულწლოვანთა მიმართ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რაოდენ სასტიკი და მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია თითოეული ზემოაღწერილი ქმედება.

## 2.2 არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი ძალმომრეობითი და არაძალმომრეობითი სქესობრივი დანაშაულები

საქართველოში „ბავშვთა“ უფლებები უპირატეს და უზენაეს ღირებულებას წარმოადგენს. დანაშაულობასთან ბრძოლის გზაზე ჩვენი სახელმწიფო ცდილობს, „ბავშვთა“ დაცვის სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

მანამ, ვიდრე უშუალოდ შევეხებით არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, რეგულირებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, განვიხილოთ ის საერთაშორისო პაქტები, რომლებიც ,,ბავშვთა'' უფლებებს ეხება და რატიფიცირებულია საქართველოში:

**ა) „ბავშვის უფლებათა კონვენცია“** - მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს. ამ კონვენციის თანახმად: „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი...“ ამავე კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლის, კანონიერი მეურვის ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან,

შეურაცხყოფისა თუ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით“.

**ბ)[37] „სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის ლანზაროტეს კონვენცია“**- მიღებული 2007 წლის 25 ოქტომბერს ლანზაროტეში. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა შორის მიღწეული ფართო კონსესუსის საფუძველზე, „ლანზაროტეს კონვენციის“ სახით საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომად გაიხსნა ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის სფეროში.

„ლანზაროტეს კონვენციის“ ტექსტში, ტერმინი ბავშვზე სექსუალური ძალადობა გულისხმობს ცუდად მოპყრობას, რომელიც გამოიხატება სხეულთან კონტაქტით თუ კონტაქტის გარეშე სხვადასხვა აქტით, როგორიცაა: ინცესტი; გაუპატიურება; იძულებითი შეხება; ეროტიკული ხასიათის კოცნა; პროსტიტუცია; პორნოგრაფიულ სცენებში მონაწილეობა; სექსუალური მიზნით ბავშვის იძულება.

ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის მიზნით, კონვენცია მოიცავს მთელ რიგ პრევენციულ ღობისძიებებს. ამასთანავე, ვინაიდან ბავშვისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანები მშობლები არიან, კონვენცია ავალებთ მათ დააფუძნონ მყარი კავშირი შვილებთან და იზრუნონ მათ ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე, მათ შორის სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში დაეხმარონ იმ ზღვრის გავლებაში, რაც დასაშვებსა და დაუშვებელ ქმედებათა შორის არსებობს.

სქესობრივი ძალადობის საკანონმდებლო რეგულირებას რაც შეეხება, კონვენცია ავალებს ,,ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი ხასიათის'' სანქციების დაწესებას. მოცემულ საკითხებზე სამართალწარმოება პრიორიტეტული უნდა იყოს, ყოველგვარი დაუსაბუთებელი დაგვიანების გარეშე. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება უნდა მიენდოს იმ სპეციალისტებს, რომლებსაც გავლილი ექნებათ ტრეინინგი არასრულწლოვნებთან ურთიერთობის სფეროში.

,,ლანზაროტეს კონვენცია'' განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სქესობრივ დანაშაულთა ხანდაზმულობის საკითხზე. განმარტავს, რომ ხშირად,

---

[37] სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია), 2013.

სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლს საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, განცდილის მოსაყოლად. სწორედ ამის გამო, აუცილებელია ხანგრძლივი დროის გათვალისწინება, რათა დანაშაულის მსხვერპლს მიეცეს სამართლებრივად უფლების აღდგენის საშუალება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, ვიდრე ის მიაღწევს გარკვეულ მოწიფულობასა და დამოუკიდებლად შეძლებს ფაქტების გამხელას.

საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლის კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნად მოიაზრება პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი[38], თუმცა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი „ბავშვთა“ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებად დაყოფას გვთავაზობს. კერძოდ, სსკ-ის XXII თავი ითვალისწინებს სქესობრივ დანაშაულთა ჩადენას : **ა)**იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ შესრულებიათ 14 წელი; **ბ)**ნებაყოფლობით 16 წელს მიუღწეველთან; **გ)**ძალადობით არასრულწლოვნებთან 14-დან 18 წლამდე.

ზემოაღნიშნულ ასაკობრივ დანაწილებასთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სვადასხვაობა. ზოგი იურისტი მიიჩნევს, რომ მართებული იქნებოდა სქესობრივი დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად ჩათვლილიყო არა კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფი, არამედ ზოგადაგ *<u>სქესობრივი სიმწიფის</u>* მიღწევა არ მიღწევის ფენომენი. სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან სქესობრივი სიმწიფის ფენომენი რთული კატეგორიაა, საჭიროებს ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ერთობლივად გათვალისწინებას. სამართლებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ არასრულწლოვან დაზარალებულთა კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით კლასიფიკაცია აადვილებს იმის დადგენას, იცოდა თუ არა დამნაშავემ, რომ პირი 18 წლის ასაკს მიუღწეველი იყო, მაშასადამე თავად დანაშაულთა სწორად კვალიფიკაციასაც.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დამნაშავეს დაზარალებულის არასრულწლოვნების ფაქტის მიმართ პირდაპირი განზრახვა უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუკი კანონმდებელი გამოიყენებდა დაზარალებულის სქესობრივი სიმწიფის ზოგად კრიტერიუმს, ფაქტობრივად დამნაშავის სუბიექტური

[38] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი I, მუხლი 3, ნაწილი I, 2019 წლის მარტის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426, (მოძიებულია: 05.03.2019).

დამოკიდებულების განსაზღვრა ყოველთვის დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, რადგან ზოგჯერ თავად სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასაც კი უჭირს დაზარალებულის სქესობრივი სიმწიფის ფაქტის დადგენა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებულად უნდა მივიჩნიოთ კანონმდებლის მიერ კონკრეტული ასაკობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც უცილობლად არის პრაქტიკაში პრობლემათა წარმოშობის თავიდან აცილების საუკეთესო მექანიზმი.

ახლა კი უშუალოდ გადავინაცვლოთ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულთა კატეგორიებზე:

<u>I ძალადობრივი სქესობრივი დანაშაულები.</u>

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივ სქესობრივ დანაშაულებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები. განვიხილოთ აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც არასრულწლოვნებს ეხება.

**ა) გაუპატიურება და სქესობრივი ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ (სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი).** კანონმდებლის მიერ დაწესებულ ასაკობრივ ზღვარში მოიაზრება არასრულწლოვნები 14-დან 18 წლამდე. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დამნაშავის მიერ ასაკის ,,წინასწარ შეცნობაზე'', რაც იმას ნიშნავს, რომ მოძალადემ დარწმუნებით უნდა იცოდეს მსხვერპლის ასაკი, რადგან თუ ის კეთილსინდისიერად ცდება დაზარალებულის ფაქტობრივ ასაკში, მისი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ გაუპატიურებად ან სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებად არ დაკვალიფიცირდება.

**ბ) გაუპატიურება და სქესობრივი ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება იმ პირთა მიმართ, ვისაც არ შესრულებია 14 წელი.** აღნიშნული ქმედებისათვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ თავში ყველაზე მკაცრი სანქციაა გათვალისწინებული, კერძოდ, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 15-დან 20 წლამდე. კანონმდებლის მსგავსი სიმკაცრე განპირობებულია თავად მსხვერპლის მცირე ასაკით. 14 წლამდე პირების მიმართ

განხორციელებული სქესობრივი ძალადობა არა მარტო მათი ზნეობრივი განვითარებისათვისაა საშიში, არამედ ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვისაც.

**გ) სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება ჩადენილი არასრულწლოვანთა მიმართ (სსკ-ის 139-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).** ამ მუხლის მიზნებისთვის არასრულწლოვნად მიიჩნევა ყველა პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედება ხორციელდება იძულებით, მუქარით, მატერიალური ან სხვაგვარი მდგომარეობის გამოყენებით. რა თქმა უნდა, სხვა პირებზე მატერიალურად დამოკიდებული ძირითადად არასრულწლოვნები არიან, შესაბამისად მათ მიმართ ამ საფუძვლით ხშირად ხორციელდება სქესობრივი ძალადობა.

<u>II არაძალადობრივი სქესობრივი დანაშაულები.</u>

**ა) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (სსკ-ის 140-ე მუხლი).** აღნიშნული ქმედება მოიაზრებს სრულწლოვანის მიერ წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივ კავშირს, მამათმავლობას, ლესბოსელობასა და სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს გაუკუღმართებული ფორმით თავად არასრულწლოვნის თანხმობით.

განსახილველი დანაშაულის <u>**ობიექტია**</u> მამრობითი და მდედრობითი სქესის მოზარდთა სქესობრივი ხელშუხებლობა, აგრეთვე ნორმალური ფიზიკური და ზნეობრივი განვითარება.

<u>**ობიექტური მხარე**</u> გამოიხატება სქესობრივ კავშირში, მამათმავლობაში, ლესბოსელობაში და სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტში გაუკუღმართებული ფორმით თავად არასრულწლოვნის თანხმობით. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მცირეწლოვანია, მიუხედავად მისი თანხმობისა, სახეზე გვექნება ან გაუპატიურების ან სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ფაქტი.

<u>**სუბიექტად**</u> განსახილველ დანაშაულში გვევლინება ორივე სქესის წარმომადგენელი, სრულწლოვანი პირი.

<u>**სუბიექტური მხარე**</u> უნდა გამოიხატებოდეს პირდაპირ განზრახვაში. კერძოდ, სრულწლოვანს უნდა სურდეს 16 წლის ასაკს მიუღწეველთან, ამ უკანასკნელის

თანხმობის შემთხვევაში, სქესობრივი კავშირის დამყარება. წინასწარ ასაკის შეგნება უნდა დაეფუძნოს დაზარალებულის  როგორც გარეგნულ ნიშნებს, ასევე ზოგად ინფორმაციას მისი ასაკის შესახებ.

**ბ) გარყვნილი ქმედება  ჩადენილი 16 წლის ასაკს მიუღწევლის მიმართ (სსკ-ის 141-ე მუხლი).**

აღნიშნული დანაშაულის **ობიექტი** არის დაზარალებულთა  სქესობრივი ხელშეუხებლობა და ნორმალური ფიზიკურ-ზნეობრივი განვითარება.

**ობიექტური მხარე** ხასიათდება ისეთი ქმედებებით, რომლებსაც 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირები მიჰყავს ფიზიკურ და მორალურ გარყვნამდე. აღნიშნული სახის ქმედებანი სექსუალურ ხასიათს ატარებს და მიმართულია როგორც ბრალდებულის სქესობრივი ჟინის დასაკმაყოფილებლად, ასევე დაზარალებულის სქესობრივი ლტოლვიოს გასაღვივებლად. გარყვნილი ქმედება შესაძოა იყოს როგორც ფიზიკური, ასევე ინტელექტუალური: **ფიზიკური  გარყვნილი ქმედება** - მდგომარეობს სექსუალური ხასიათის მანიპულაციებში, მაგალითად უხამსი შეხება; დაზარალებულის წინაშე გაშიშვლება და სასქესო ორგანოების დემონსტრირება. **ინტელექტუალური გარყვნილი ქმედება** - შესაძლოა იყო პორნოგრაფიული პროდუქციის დემონსტრირება.

აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს და დასრულებულია ფიზიკური თუ ინტელექტუალური ხერხით გარყვნილი ქმედების განხორციელების დაწყების მომენტიდან.

ჩვენ მიერ განხილული, არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართული სქესობრივი დანაშაულის არაძალადობრივი შემადგენლობები ითვალისწინებს ამ ქმედებათა განხორციელებას თავად დაზარალებულთა ნებით და თანაც საგულისხმოა ის ასაკობრივი ზღვარი, რასაც კანონმდებელი აწესებს, კერძოდ 16 წლის ასაკს მიუღწევლობა.

## 2.3 სქესობრივი დანაშაული, როგორც ოჯახური ძალადობის ფორმა

,,...ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი..., აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოსთანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულება.“[39]

საქართველო ტრადიციებისა და ჩვეულებების ქვეყანაა, რაც განაპირობებს იმას, რომ ხშირად ამა თუ იმ ოჯახის წევრები ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, თუმცა საზოგადო სირცხვილის განცდის გამო ამას არ ამხელენ. ჩვენთან გაბატონებულია მოსაზრება: ,,ოჯახური პრობლემები ოჯახშივე უნდა მოგვარდეს და ამის შესახებ გარეშე პირებმა არ უნდა შეიტყონ“.

საზღვარგარეთს რაც შეეხება, იქ საზოგადოებამ უკვე წლებია დაიწყო იმის გაცნობიერება, რომ ოჯახი არის პირთა ნებაყოფლობითი კავშირი, რომელსაც სიყვარული და პატივისცემა უნდა აერთიანებდეს. განსაკუთრებით, ქალბატონები მიხვდენენ, რომ ოჯახური, კერძოდ კი ცოლ-ქმრული ურთიერთობა არათუ ვალდებულება, არამედ უფლებაა და ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში აუცილებელია კანონით გარანტირებული დაცვის ყველა საშუალების გამოყენება.

საქართველოში ქალბატონები მუდამ მორჩილებით გამოირჩეოდნენ და დღევანდელ პირობებშიდაც მათი უმრავლესობა ცოლ-ქმრულ ურთიერთობას მოვალეობად თვლის. სწორედ ამის გამო, ხშირ შემთხვევაში მეუღლეთა მიერ მათ მიმართ განხორციელებულიძალადობრივ სქესობრივ კავშირს დანაშაულადაც არ აღიქვამენ.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ოჯახური ძალადობის საქმეზე. კერძოდ **S.W. დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, 1995 წლის 22 ნოემბერი.**[40]

საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

---

[39] გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია'', პრეამბულა, ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi17.pdf, (მოძიებულია: 25.04.2019).

[40]European Court Of Human Rights, CASE of S.W. v. THE UNITED KINGDOM, 22 November 1995, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57965, (მოძიებულია: 25.04.2019).

დიდი ხნის დაძაბული ცოლ-ქმრული ურთიერთობის შემდეგ 1990 წლის 18 სექტემბერს განმცხადებელს მეუღლემგანუცხადა, რომ სურდა განქორწინება. იმ საღამოსვე მამაკაცმა ქალთან ძალადობრივი სქესობრივი კავშირი დაამყარა, რისთვისაც დიდი ბრიტანეთის სასამართლომ განმცხადებელი დამნაშავედ სცნო გაუპატიურების, თავდასხმისა და მკვლელობის მცდელობისათვის. სასამართლო 1991 წლის 16 აპრილს დაიწყო. ერთი თვით ადრე სასამართლომ, იმავე კატეგორიის საქმეზე სხვა პირის, კერძოდ R.v.R-ის წინააღმდეგ გაითვალისწინა საკანონმდებლო ცვლილება და ის დამნაშავედ სცნო მეუღლის გაუპატიურებაში.

კერძოდ R.v.R-ს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე ინგლისის სამართალში არსებობდა ე.წ ,, ცოლ-ქმრული იმუნიტეტის'' ცნება, რომელიც 1736 წელს პირველად მოსამართლე მეთიუ ჰეიდიმ გააჟღერა, რაც გულისხმობდა იმას, რომქმარი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სქესობრივ მოძალადედ ცოლთან მიმართებაში, ვინაიდან საქორწინო შეთანხმებით ცოლი მთლიანად აძლევს ქმარს საკუთარ თავს და არ აქვს უფლება, შემდგომ რაიმეზე უარი უთხრას. სწორედ აღნიშნული მიდგომა დაგმო S.W.-სა და R.v.R-ს საქმეებზე ინგლისის როგორც პირველმა, ასევე სააპელაციო ინსტანციამ. 1991 წლის 23 ოქტომბერს S.W. გაუპატიურების მუხლით სცნეს დამნაშავედ.

S.W.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა 1992 წლის 29 მარტს მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს ინდივიდუალური განაცხადით, იმ მოტივით, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ დარღვეული იყო ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის'' მე-7 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად: პირი არ შეიძლება გასამართლდეს იმ ნორმით, რომელიც მის მიერ ქმედების განხორციელების დროს ჯერ კიდევ არ მოქმედებდა. ადვოკატი განმარტავდა, რომ R.v.R-ის საქმეზე დამყარდა პრეცედენტი, რომელიც ცოლის მიმართ სქესობრივად მოძალადე ქმარს აკისრებდა პასუხისმგებლობას გაუპატიურებისათვის, 1991 წლის 14 მარტს, ხოლო S.W.-ს მიერ მეუღლესთან კონტაქტი განხორციელდა უფრო ადრე 1990 წლის 18 სექტემბერს, სწორედ ამის გამო ახალი პრეცედენტული ნორმისათვის, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას ქმედებისათვის უკუძალის უნარი არ უნდა მიენიჭებინა

ინგლისის სასამართლოებს. რაც მთავარია, არ უნდა გამოეყენებინათ ის ნორმა, რომელიც ქმედების ჩადენის დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა.

1995 წლის 22 ნოემბერს  გამოცხადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ S.W.-ს  ქმედება წინ უსწრებდა პრეცედენტული ნორმის შექმნას, ის მართებულად იქნა დამნაშავედ ცნობილი გაუპატიურების მუხლით, რადგან სქესობრივი ძალადობა მეუღლის მიმართ წარმოადგენს არამხოლოდ ქორწინების ცივილიზებული კონცეფციის დაგმობას, არამედ თავად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევას, რომელიც უპირატესად აღიარებს ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემის პრინციპს კონვენციის პირველივე მუხლში.

მოცემული საქმიდან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, რომ თავად ინგლისშიდაც კი, რომელიც მდიდარი სამართლებრივი ისტორიის მქონე სახელმწიფოა, 1991 წლამდე ცოლ-ქმრული ურთიერთობა ვალდებულებად აღიქმებოდა და მოძალადე მეუღლეს გაუპატიურებისას ე.წ ,,ცოლ-ქმრული იმუნიტეტი“ იცავდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ოჯახური ძალადობის წინაარმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა რიცხვში საქართველოც შედის. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში ისეთი საკანონმდებლო აქტის არსებობა, როგორიცაა 2006 წლის 25 მაისს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ,,საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ''.

აღნიშნული კანონის მიხედვით ოჯახური ძალადობა გულისხმობს, ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების დარღვევას  ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით.[41]

[41] საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი  ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'', თავი I, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: http://police.ge/files/pdf/sakanonmdeblo%20baza/12..Law_on_Domestic_Violence.pdf, (მოძიებულია: 27.04.2019).

ზემოაღნიშნული კანონი განსაზღვრავს ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის მექანიზმებს, რაც გამოიხატება მაგალითად: დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემაში. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით, მათ მოთავსებას კრიზისულ ცენტრებსა და თავშესაფრებში.

კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამთავრობო იურიდიული პირების ბაზაზე.კრიზისულ ცენტრში პირები გადიან სარეაბილიტაციო პროგრამას, აგრეთვე ითვალისწინებს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასა და სამართლებრივ დაცვას. რაც მთავარია, მათ მიერ გაცემული ინფორმაცია კონფიდენციალური რჩება.[42]

აღსანიშნავია, რომ ამ კანონით, თუ სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული მაგ. სქესობრივი იძულება, აუცილებელია ამოქმედდეს დანაშაულის აღკვეთის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები. მაგალითად, თუ სახეზეა გაუპატიურება სსკ-ის 137-ე მუხლის წინ მიეთითება სსკ-ის $11^1$ მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას ოჯახის ერთი წევრის მიერ სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას ოჯახის მეორე წევრის წინააღმდეგ. ოჯახისწევრებად მოიაზრებიან : მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, ან მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.[43]

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში თანდათან საკანონმდებლო დონეზე რეგულირებადი ხდება ოჯახური, მათ შორის სქესობრივი ძალადობის პრობლემები. იმედია, საზოგადოებაშიც აღარ იარსებებს ტაბუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დაზარალებული პირები არათუ დუმილს ამჯობინებენ, არამედ ექნებათსაკუთარ უფლებათა დაცვის იმედი და მაქსიმალურად გამოიყენებენ თავდაცვის საკანონმდებლო მექანიზმებს.

---

[42] იქვე, თავი VI, მუხლი 18-20.

[43] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი I, მუხლი 3, ნაწილი III, 2015 მარტის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034, (მოძიებულია: 30.04.2019).

## 2.4 სქესობრივ დანაშაულში მსხვერპლისა და მოძალადის ფსიქო-სოციალური და კრიმინოლოგიური დახასიათება

<u>I დაზარალებული.</u>

სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს არამარტო პირთა დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, არამედ უკვე ხელყოფილ უფლებათა აღდგენა. სწორედ აქედან გამომდინარეობს სისხლის სამართალში ისეთი ცნების არსებობა, როგორიცაა დანაშაულის მსხვერპლის სტატუსი.

ტერმინი მსხვერპლი აღნიშნავს პირს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაყენეს ზიანი, მათ შორის სხეულის დაზიანება, მორალური ზარალი, ემოციური ტანჯვა, ან მოხდა მის მიმართ უფლების საფუძვლიანი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო.[44]

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ყოველთვის იწვევდა დაინტერესებას დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართალში, სწორედ ამას უკავშირდება კრიმინოლოგიის ისეთი დარგის განვითარება, რომელსაც მსოფლიო **ვიქტიმოლოგიის** სახელით იცნობს.[45]ვიქტიმოლოგია შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლსა და მის დამოკიდებულებას დამნაშავესთან.

ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი ელემენტი არის **ვიქტიმურობა**, ე.ი გაღრმავებული უნარი, გახდე მსხვერპლი, როდესაც ამის თავიდან აცილების შესაძლებლობა არსებობს.

სქესობრივ დანაშაულთა ანალიზმა აჩვენა, რომ მსხვერპლის დემოგრაფიულ და პიროვნულ მახასიათებლებს, სქესს, ასაკს, ოჯახურ მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში განაპირობებს დამნაშავეთა მართლსაწინაარმდეგო ქცევას. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სქესობრივ დანაშაულებში მომეტებული ვიქტიმურობა ახასიათებთ სუსტი სქესის წარმომადგენლებსა, არასრულწლოვნებსა და ასაკოვან პირებს, ვინაიდან მათ წინააღმდეგობის გაწევისა და ძალადობის დაძლევის ნაკლები უნარი აქვთ.

---

[44] გაეროს 1985 წლის დეკლარაცია ,, ხელისუფლების დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპების შესახებ'', ხელმისაწვდომია: http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/power.shtml, (მოძიებულია: 11.05.2019).

[45]Victim- ლათ. მსხვერპლი, logos- ბერ. მეცნიერება.

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადად განასხვავებს დანაშაულის მსხვერპლისა და დაზარალებულის კატეგორიებს. კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედებით ზიანის მიყენებისას დაზარალებულად ცნობის შესახებ პროკურორის მიერ დადგენილების გამოტანამდე პირი ითვლება მსხვერპლად, ხოლო დადგენილების გამოტანის შემდგომ- დაზარალებულად.

ევროპის საბჭომ 1970-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების დაცვას. ევროპის ქვეყნები და მათ შორის, საქართველო, უდიდესი გულისხმიერებით ეკიდება  დანაშაულის მსხვერპლთა (მათ შორის სქესობრივ დანაშაულებში  დაზარალებულთა) უფლებების დაცვის საკითხს, რაზედაც მეტყველებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმათა და საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტთა სიმრავლე.

**II მოძალადე.**_პიროვნების სოციალური ფორმირება განისაზღვრება სოციალურ-ფსიქოლოგიური ტერმინით „სოციალიზაცია“, რაც წარმოადგენს ინდივიდის მიერ ცოდნის გარკვეულ სისტემას, ნორმებისა და ღირებულებების შეთვისების პროცესს, რომლებიც აძლევს საშუალებას, მოახდინოს თავის რეალიზება, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა. სოციალიზაციის პროცესში პიროვნება იმუშვებს ისეთ თვისებებს, რომლებიც საჭიროა საზოგადოებაში არსებობისათვის.[46] სამწუხაროდ, ყველა ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი ქმედების მოქცევას საზოგადოების მიერ დაწესებულ მორალურ ჩარჩოში, უფრო მეტიც, პროტესტის სახით ავლენს აგრესიას გარე სამყაროს მიმართ. სწორედ ასეთ პირთა წრეს მიეკუთვნებიან სექსუალური მოძალადეებიც. სქსობრივ დანაშაულთა ჩამდენ პირებს გააჩნიათ სპეციფიკური პიროვნული მახასიათებლები. განასხვავებენ შემდეგი სახის მოძალადეებს:_1. პირები, რომლებსაც სხვადასხვა სახით დარღვეული აქვთ ფსიქიკა ან პირები რომლებსაც გარკვეული პათოლოგიური მიდრეკილება აქვთ სქესობრივი ურთიერთობისადმი;__2. პირები, რომლებსაც გარკვეულ ასაკში უვითარდებათ ჭკუასუსტობა და მიდრეკილება არასრულწლოვან ან მცირეწლოვან პირებთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარებისაკენ;_3. პირები, რომლებსაც ფსიქიკაში ან სქესობრივ სფეროსადმი დამოკიდებულებაში არ აქვთ რაიმე გადახრა, მაგრამ არიან ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ნივთიერებათა სისტემატურად მომხმარებელნი და

[46]Парыгин Б.Д., Социальная психология как наука, Л., 1967, С. 120.

აღზნების მომენტში იდენენ სქესობრივ დანაშაულს;_4. პირები, რომლებიც ადრე მსჯავრდებული იყვნენ სქესობრივი დანაშულის ჩადენისათვის;__5.__პირები, რომლებსაც განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ თავისივე სქესის წარმომადგენლებთან სქესობრივი კავშირის დამყარებისაკენ;_6. პირები, რომლებსაც თავიანთი სქესობრივი პოტენციალის გამო არ შესწევთ უნარი დაამყარონ სქესობრივი კავშირი დაზარალებულთან, თუმცა ძალადობით ყველა პირობას ქმნიან მიზნის მისაღწევად.__7. არასრულწლოვანი პირები, რომლებიც სქესობრივ ძალადობას ახორციელებენ უმეტესწილად თავიანთ ნაცნობ სრულწლოვან თუ არასრულწლოვან პირებზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ყურადღება გავამახვილოთ სწორედ არასრულწლოვანთა მიერ სქესობრივ დანაშაულთა ჩადენის გამომწვევ მიზეზებზე.

მე-20 საუკუნის დასაწყისში აშშ-ის დენვერის შტატის არასრულწლოვანთა სასამართლოს დამაარსებელსა და მოსამართლეს, ბენ ლინდსეის, სწამდა, რომ არ არსებობს ცუდი ბავშვი, არსებობს მხოლოდ ცუდი პირობები, რომლებსაც მოჰყვება ცუდი ქმედების ჩადენას.[47]

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, განვიხილოთ სწორედ ის ფაქტორები, რომელიც დელინკვენტურობის საფუძველი ხდება.

## I. ინდივიდუალური ანუ პერსონალური რისკ-ფაქტორები

- **ასაკი**

კვლევებმა დაადასტურა, რომ არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი ძალიან სწრაფად იზრდება თინეიჯერობის წლებში, პიკს აღწევს დაახლოებით თვრამეტი წლის ასაკში და შემდეგ იწყებს კლებას. ეს ყოველივე უფრო ეხება ძალადობრივ დანაშაულებს. მსგავსი ქმედების შეწყვეტა მჭიდროდაა დაკავშირებული მომწიფების პროცესთან, როდესაც არასრულწლოვანს უჩნდება საყოველთაოდ მიღებული ცხოვრების სტილის მიყოლის სურვილი. ამის საფუძველი ხდება ტრადიციული მოვლენები: ქორწინება, სამხედრო სამსახური, განათლება, ე.ი მოტივატორები აღმოიფხვრას დანაშაულისაკენ მიდრეკილება და სურვილი.[48]

---

[47]ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემაში, სამართლის ჟურნალი, #2, 2012;
[48]იქვე, გვ. 294.

• **ინტელექტი** - კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ დამნაშავის ინტელექტსა და მის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის გარკვეული კავშირია. პირებს, რომლებიც ნაკლები ინტელექტით გამოირჩევიან ურთულდებათ საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც ქმნის იმის ალბათობას, რომ ასეთი პირი დანაშაულს ჩაიდენს.

• **იმპულსურობა** - მომეტებული იმპულსურობა ვლინდება ადამიანის მომეტებულ რისკიანობაში, წინდაუხედავად ქცევასა და დაუფიქრებლად გადაწყვეტილების მიღებაში. ის შესაძლოა კანონის დარღვევაშიც გადაიზარდოს.

• **რასა** - კვლევით დგინდება, რომ განსხვავება არ არის აფროამერიკელ და კავკასიელ ბიჭებს შორის 6 წლის ასაკში, მაგრამ მათ შორის სხვაობა დელინკვენტურობის თვალსაზრისით თანდათან ვითარდება და პიკს აღწევს 16 წლის ასაკში.

• **სქესი** - ვაჟები მეტად არიან ჩართულნი დელინკვენტურობის სერიოზულ ფორმებში, ვიდრე გოგონები. აღნიშნული, გენეტიკური რისკ-ფაქტორია, რომელიც დანაშაულს წინასწარ განსაზღვრავს.

II. **სოციალური რისკ-ფაქტორები**

• **ოჯახი** - მიუხედავად, მრავალი თეორიისა, რომელიც ეხება ახალგაზრდების დანაშაულებრივი ქცევის ფენომენს, ოჯახი ეჭვგარეშე მთავარ როლს ასრულებს.[49] დელინკვენტურობის ერთ-ერთი წინაპირობაა მშობლებთან შესუსტებული კავშირი, რადგანაც ახლო ურთიერთობა წარმოშობს მოსიყვარულე და თბილ დამოკიდებულებას. ამ შემთხვევაში, ნაკლებ სავარაუდოა, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინოს დანაშაული, რადგანაც მას გათავისებული აქვს მშობელთა ღირებულებები.

რადიკალური შედეგი შეიძლება დავინახოთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ოჯახში გაუთავებელი ჩხუბი, არეულობა და უპატივცემულობაა.

**თანატოლებთან ურთიერთობა** - აღნიშნულ ასაკში დიდი მნიშვნელობა აქვს პრესტიჟის მოთხოვნილებას, საკუთარი მე-ს შეგრძნებას, თუ რა დამოკიდებულება აქვთ გარშემომყოფთ, უპირატესად კი თანატოლებს. სწორედ თანატოლები აძლიერებენ გავლენას დელინქვენტურ ქცევაზე.[50] მათ აზრს მნიშვნელობას პირი 17

---

[49] ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემაში, სამართლის ჟურნალი №2, 2012, გვ. 305;

[50] კელენჯერიძე ი., არასრულწლოვანთადანაშაულობისმიზეზებიდაპირობები, ალმანახი №19, სისხლისსამართალი (III), 2004.

წლამდე ანიჭებს უპირატესობას, შემდგომ კი ყოველივეს უარყოფა ანაცვლებს. თუმცა მანამდე პრესტიჟისათვის შესაძლოა თავიც კი გასწირონ მოზარდებმა.

### III. საზოგადოებრივი რისკ-ფაქტორები

• **სოციალური კლასი** - აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ სტრუქტურულ პოზიციას, როგორიც არის ირგვლივ მცხოვრები საზოგადოება, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დელინკვენტურობაზე. ბავშვები, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებულები, ღარიბი ოჯახებიდან, მეტად არიან შემჩნეული დანაშაულებრივი აქტების განხორციელებაში. სიღარიბე აიძულებს მოზარდებს ან მოწყალება ითხოვონ ქუჩაში ან დანაშაულებრივ გზას გაჰყვნენ. ,,ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისათვის.“[51]

• **საგანმანათლებლო გარემო** - დიდი პრობლემაა სკოლებში სქესობრივი კუთხით განათლების საკითხი. სასწავლო დაწესებულებები არ არის აღჭურვილი იმ მასალით, რომლითაც მოზარდები შეძლებდნენ გაერკვიათ, თუ რა სახის ქმედებებია დასჯადი სქესობრივ ურთიერთობათა სფეროში და სად გადის ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს შორის. გარდა ამისა,კრიმინოლოგიურმაკვლევამ აჩვენა,რომ ის ბავშვები,რომლებიც შემდგომ დანაშაულებრივ გზას დაადგნენ, სკოლის პერიოდში თავიანთი საქციელით თვალში საცემნი იყვნენ. ამასთანავე, აღსნიშნავია, რომ ძნელად აღსაზრდელებთან სერიოზული და შრომატევადი მუშაობის ჩატარების სანაცვლოდ, ზოგიერთი სკოლის დირექცია ცდილობს, თავიდან მოიცილოს ისინი, რაც ახალგაზრდების ნაწილის ქუჩის ზეგავლენის ქვეშ მოქცევას იწვევს.

მაშასადამე, ჩვენ გავეცანით სქესობრივ დანაშაულთა სფეროშითუ რა კატეგორიის ადამიანები არიან ძირითადად მოძალადეები. არასრულწლოვანთა მაგალითზე გავიაზრეთ ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ პირი დაადგეს დანაშაულებრივ გზას და შემდგომ განახორციელოს ისეთი სასტიკი ქმედებებიც კი, როგორიცაა სქესობრივი ძალადობა და იძულება.

---

[51] გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია'', ნაწილი I, მუხლი 27, ნაწილი 1, ხელმისაწვდომია: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi17.pdf, (მოძიებულია 15.05.2019).

# თავი 3. სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში არსებული სისხლისსამართლებრივი პრაქტიკა, სტატისტიკა და პრევენციის მექანიზმები

## 3.1 სისხლის სამართალწარმოება და პრაქტიკაში არსებული პრობლემები

სისხლის სამართლის კოდექსი საკმაოდ დეტალურად არეგულირებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას, მიუხედავად ამისა, სისხლის სამართალწარმოებაში ხშირად ვხვდებით ნორმათა გამოყენების სირთულეებს, რაც ძირითადად ქმედების სწორად კვალიფიკაციას ეხება. აღნიშნული განპირობებულია იმ მარტივი მიზეზით, რომ შეუძლებელია, კანონმდებელმა ყველა ცხოვრებისეული შემთხვევა გაითვალისწინოს და კოდექსში ასახოს. თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები განსხვავებულ დეტალებს მოიცავს და მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია სქესობრივი დანაშაულთა ცალკეული შემადგენლობები, ზოგ შემთხვევაში სადავოა თუ რომელი მუხლით უნდა დარეგულირდეს ქმედების დასჯადობის საკითხი.

კვალიფიკაციის გარდა, ფრიად საინტერესოა თავად სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობას გავეცნოთ. ვინაიდან სქესობრივი დანაშაულები ხელყოფს ისეთ უფლებებს, რომლებიც მეტად პირადულ ხასიათს ატარებს, მნიშვნელოვანია დაზარალებულებთან მიმართებაში განსაკუთრებული სიფრთხილისა და გულისხმიერების გამოჩენა. ხშირ შემთხვევაში, მათ უჭირთ სრულიად უცნობ ადამიანებთან მომხდარის შესახებ დეტალურად საუბარი; დაზარალებულები უმეტესად სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან და სირცხვილის განცდის გამო ხშირად დუმილსაც კი ამჯობინებენ. სწორედ საიმისოდ, რომ მათ თავი დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ, აუცილებელია თითოეულ მსხვერპლს კომფორტული გარემო შეუქმნან როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო განხილვის დროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალწარმოებაში დიდი დატვირთვა მოდის სამართალდამცავ ორგანოებზე. სწორედ ამ ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულებრივ ფაქტზე დროეული რეაგირება; კვალიფიციური და სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, რათა საფუძველი შეუქმნან საქმის გახსნას და არ გამოიწვიონ შემდგომ სასამართლო წარმოების გაჭიანურება.

სქესობრივ დანაშაულთა საქმეები არ გამოირჩევიან განსაკუთრებული სიხშირით, როგორიც ახასიათებს, მაგალითად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს: ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას. ფაქტობრივად, ერთი თვის მონაცემებით, სქესობრივ დანაშაულთა 2-3 შემთხვევა შესაძლოა იყოს სახეზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში, თვეების მანძილზე მსგავსი კატეგორია არ რეგისტრირდება.

საყურადრებოა ის ფაქტი, რომ ძირითადად საქმე აღიძვრება სსკ-ის 137-ე (გაუპატიურება) და 140-ე (სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან) მუხლებით და ძირითადად სქესობრივ დანაშაულებში დაზარალებულებად მანდილოსნები გვევლინებიან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არასრულწლოვანთა მიერ სქესობრივ დანაშაულთა ჩადენა ერთეულ შემთხვევას ითვლის.

კვლევების მიხედვით დგინდება, რომ უმეტეს შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოში განცხადების შეტანამდე, დაზარალებულებს გაცნობიერებული აქვთ იმ პროცედურათა აუცილებლობა, რომელთა სავარაუდოდ გავლაც მოუწევთ, აქედან გამომდინარე წინააღმდეგობას არ ავლენენ თუნდაც სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე.

თავად ბრალდებულებს რაც შეეხებათ, შეუძლებელია მათი დაყოფა სქესობრივ დანაშაულთა ჩამდენ პირთა კონკრეტულ კატეგორიებად (მაგ. მხოლოდ ისეთები, რომლებიც მოიხმარენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ საშუალებებს). ბრალდებულებად გვევლინებიან სხვადასხვა სოციალური სტატუსის პირები.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულები გაუპატიურების საქმეებზე უმეტესად სრულიად უარყოფენ მათ მიმართ წაყენებულ ბრალს; სსკ-ის 140-ე მუხლის დროს, რომლითაც მოიაზრება სრულწლოვანის სქესობრივი კავშირი წინასწარი შეცნობით 16 წელს მიურწეველ პირთან,აპელირებენ მასზედ, რომ არ ჰქონდათ ინფორმაცია დაზარალებულის ნამდვილი ასაკის შესახებ და ეგონათ, რომ ის სრულწლოვანი იყო.

ამ შემთხვევაში გამოძიება დეტალურად არკვევს იმ გარემოებათა არსებობას, რითაც უტყუარად დადასტურდება ბრალდებულის მიერ მსხვერპლის ნამდვილი ასაკის შეცნობის ფაქტი (მაგ. ბრალდებული არაერთგზის დასწრებია მსხვერპლის დაბადებისდღეს; ისინი ნათესავები არიან და სხვ.)

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სქესობრივ დანაშაულთა საქმეებზე გამოძიების პროცესი ყოველთვის წინ უსწრებს პირის დაკავებას, ვინაიდან, თუ პროკურორს ხელთ არ ექნება საკმარისი მტკიცებულებები (ასეთი უმეტესად ექსპერტიზის დასკვნებია), დასაბუთებული ვარაუდით ადასტურებს კონკრეტული პირის დამნაშავეობას, პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ დადგენილების მიღება და მით უფრო გადაუდებელი აუცილებლობით დაკავება ვერ მოხერხდება.

საქმის სასამართლო განხილვას რაც შეეხება, თავად სქესობრივ დანაშაულთა მომეტებული სასიშროებიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების სახით სასამართლოს წინაშე პატიმრობის გამოყენებაზე შუამდგომლობა, უმრავლეს შემთხვევაში მოსამართლის მიერ კმაყოფილდება.

ახლა კი უშუალოდ გადავინაცვლოთ ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემებზე. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმასთან გაკავშირებით, რომ სსკ-ის 137-ე მუხლით გაუპატიურება დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით მოიაზრებს მცირეწლოვანთა უმწეობასაც.[52] აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ. ვინაიდან, კანონმდებელმა ყველაზე მკაცრი სანქცია სქესობრივ დანაშაულთა თავში დააწესა 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,გ'' პუნქტისათვის (გაუპატიურება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია 14 წელი) და გაითვალისწინა თავისუფლების აღკვეთა ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე. 14 წელს მიუღწეველთა კატეგორიაში მცირეწლოვნებიც უნდა მოვიაზროთ, ხოლო დაზარალებულის უმწეო_მდგომარეობაში ალკოჰოლური თრობის, ძილის მდგომარეობა, როდესაც პირი ვერ აცნობიერებს იმ ქმედების ხასიათს, რომელიც მის თავს ხდება. მართალია 2 წლის ბაშვიც ვერ აცნობიერებს მასზე განხორციელებული მოქმედების რაობას, თუმცა თუკი უმწეო მდგომარეობაში მცირეწლოვნებსაც მოვიაზრებთ, გამოდის რომ აღნიშნულზე ნაკლებად მკაცრი სასჯელი გავრცელდება (თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან რვა წლამდე), რაც ყოვლად გაუმართლებელია. კანონმდებელმა 14

[52] წულაია ზ., დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,თბ., 2000, გვ.151-152.

წელს მიუღწეველი პირის გაუპატიურება ისეთ მძიმე შედეგს გაუთანაბრა, როგორიცაა სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ბ'' პუნქტი) და აქედან გამომდინარე 14 წლამდე პირების, მათ შორის მცირეწლოვნების გაუპატიურება ყველაზე მკაცრად უნდა დაისაჯოს.

სიხხლის სამართლის პროცესში, უმეტეს შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების შემდგომ საქმეში ერთვებიან ბრალდებულ პირთა უფლების დამცველი ადვოკატები. იმ შემთხვევაში, თუკი ბრალდებული გადახდისუუნაროა და ირიცხება სოციალურად დაუცველ პირთა ერთიან ბაზაში ან არსებობს სავალდებულო დაცვის პირობები[53] და ადვოკატი სახეზე არ არის, საქმეში ერთვება სახაზინო ადვოკატები.

სისხლის სამართლის პროცესში ჩართული ადვოკატის უმთავრესი ფუნქციია დაიცვას ბრალდებულის კანონიერი ინტერესები და უზრუნველყოს მისი უფლებების ჯეროვნად დაცვა საქმის ნებისმიერ ეტაპზე. თითოეული ადვოკატი, რამდენადაც მიუღებელი არ უნდა იყოს მისთვის დაცვის ქვეშ მყოფის ქმედება და ზოგადად პიროვნება, ამ დამოკიდებულებას არასოდეს არ ამჟღავნებს, უფრო მეტიც ის არ არის ვალდებული, დაადგინოს სიმართლე, უბრალოდ ვალდებულია დაიცვის პოზიცია ჩამოაყალიბოს იმ კუთხით, რაც ბრალდებულის ინტერესებს შეესაბამება.

ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების საბოლოო ეტაპი უმეტეს შემთხვევაში საქმის სასამართლო განხილვაა, აუცილებელია გავეცნოდ, თუ რა სპეციფიკით ხასიათდება სქესობრივ დანაშაულთა კატეგორია.

სქესობრივ დანაშაულთა საქმეებზე ყველა შემთხვევაში სხდომა დახურულად ცხადდება, რადგან პირთა პირადი ცხოვრების ისეთი დელიკატური საკითხები, როგორიცაა სქესობრივი ურთიერთობები არ გამჟღავნდეს. უფრო მეტიც, დაზარალებულები მსგავს გარემოებებში სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ არათუ უცხო პირების თანდასწრებით, არამედ პროცესის მონაწილეთა წინაშედაც კი უჭირთ იმ შემზარავი ფაქტების აღწერა, რაც თავს გადახდათ. სწორედ ამის გამო მოსამართლე იყენებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებულ

[53] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი V, მუხლი 45, 2015 წლის მარტის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034, (მოძიებულია: 15.05.2019).

უფლებას, დახურულად გამოაცხადოს სხდომა სქესობრივი დანაშაულის ინტერესების დაცვის მიზნით.[54]

დაზარალებულის ცხოვრების სტილს არ აქვს მნიშვნელობა, თითოეული ადამიანი, მიუხედავად მისი წარსულისა იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. თუმცა ოდნავ განსხვავებულ პრაქტიკას ვაწყდებით ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სქესობრივ დანაშაულთა განხილვის დროს. უმეტესად ნაფიცი მსაჯულები არ განიმსჭვალებიან თანაგრძნობით იმ ქალის მიმართ, რომელიც მაგალითად სხეულით ვაჭრობს, შემდგომ კი პროცესზე აცხადებს, რომ გაუპატიურების მსხვერპლი გახდა.

სქესობრივ დანაშაულთა ცალკეულ შემადგენლობებს რაც შეეხება, ხშირია კვალიფიკაციის პრობლემები სსკ-ის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილი „ა“ პუნქტსა (გაუპატიურება ჩადენილი სამასხურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 139-ე მუხლის პირველ ნაწილს შორის (სქესობრივი კავშირის იძულება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) განსხვავების დადგენისას. აქ მთავარია ორი გარემოების არსებობა: 1. ძალადობის კვალი; 2. ნების შეზღუდვის ხარისხი.

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაუპატიურების შემთხვევაში აუცილებელია, ქმედება ჩადენილი იყოს ძალადობით; სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიში დაზიანების მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. ნებელობითი მომენტი კი აქ იმდენად შემცირებულია, რომ მსხვერპლს ფაქტობრივად არ აქვს არჩევანის უფლება. მაგალითად, სამუშაო საათების დასრულების შემდგომ დაზარალებული და მისი ხელმძღვანელი მარტო აღმოჩნდნენ შენობაში, რითაც ამ უკანასკნელმა ისარგებლა და ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი.

სამასახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულების დროს სახეზე არ უნდა იყოს ძალადობის კვალი; დაზარალებულის ნება აქ პარალიზებული არ არის და მას აქვს არჩევანის უფლება. მაგალითად, სამასახურის ხელმზღვანელი ხელქვეითს ემუქრება, რომ სამსახურიდან დაითხოვ, თუკი მასთან არ დაამყარებს სქესობრივ კავშირს.

---

[54] საქართველოს სისლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თავი XIX, მუხლი 182, ნაწილი III, პუნქტი ,,დ'', 2015 წლის მარტის მდგომარეობით, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034, (მოძიებულია: 25.05.2019).

## 3.2 სქესობრივ დანაშულთა სტატისტიკური ანალიზი

საქართველოში 2012 წლამდე სისხლის სამართლის დანაშულთა რეგისტრაცია ხორციელდებოდა დანაშაულთა აღრიცხვის ბარათების მეშვეობით. 2013 წლიდან კი სრულყოფილად ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართლის დანაშაულის აღრიცხვის ერთიანმა სტატისტიკურმა მოდელმა, რომლის მეშეობითაც ცენტრალიზებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება გამოვლენილი დანაშაულის სააღრიცხვო-საანგარიშო ფორმის შედგენა. [55]




დიაგრამა #1

ნათელია, რომ საქართველოს რეგიონებს შორის საზოგადოების აზრი, იმის შესახებ, რომ სექსუალური ძალადობა, კერძოდ არასრულწლოვანთა შორის „არ არის პრობლემა“, ყველაზე დიდი პროცენტულობით დაფიქსირდა აჭარის რეგიონში. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აღნიშნული დანაშაულის განსაკუთრებულ სერიოზულობაზე ყურადღება მახვილდება შიდა ქართლში, რაც ნათელს ხდის, რომ საქართველოს სხვა რეგიონებს შორის, შიდა ქართლში სქესობრივ დანაშულთა პრეცედენტები უფრო მრავლადაა. ყველაზე ნაკლები ინფორმირებულობით

[55] საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი, რეგისტრირებული დანაშაული საქართველოში 2015-2018 წ., ხელმისაწვდომია: http://police.ge/files/pdf/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%202012-2015.pdf , (მოძიებულია: 26.05.2019).

ხასიათდება სამცხე-ჯავახეთი, სადაც მოსახლეობის **23%-მა**საერთოდ არ იცის მსგავსი პრობლემის შესახებ.

საინტერესოა საზოგადოების დამოკიდებულება თავად მოძალადეთა მიმართ. მოსახლეობის **85%** მიიჩნევს რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ძალადობის სხვა ფორმის შემთხვევაში კი, როგორიცაა, მაგალითად, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, უპირატესობა ენიჭება ძალადობის ჩამდენ პირთა რეაბილიტაციას/სამედიცინო მკურნალობას. ცხრილი#1

| საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა ფორმის ძალადობის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ საჭირო სანქციების შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ფიზიკური ძალადობა | ფსიქოლოგიური ძალადობა | სექსუალური ძალადობა | ბავშვის უგულებელყოფა |
| სასამრთლო გარჩვა | 36% | 17% | 85% | 17% |
| რეაბილიტაცია | 63% | 67% | 44% | 64% |
| მშობლის უფლების ჩამორთმევა | 53% | 51% | 59% | 53% |

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველთვიური სტატისტიკა ასახავს კონკრეტული თვის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულებს, კუმულატიური სტატისტიკა კი წარმოადგენს კონკრეტული პერიოდის (2 თვე, 3 თვე) ბოლოსთვის არსებულ რეგისტრირებულ დანაშაულთა მონაცემებს. მოდით გავეცნოთ 2017-2018 წლებში სქესობრივ დანაშაულთა სტატისტიკას, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.[56]

| 2013-2014 წლების იანვარ-სექტემბერში რეგისტრირებული სქესობრივი დანაშულების სტატისტიკა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანაშულის სახეობა | 2017 წელი | | | 2018 წელი | | | დანაშულის მატება/კლება | |
| | სულ რეგისტრირებული | გახსნილია | გახსნის % | სულ რეგისტრირებული | გახსნილია | გახსნის % | (+/- რაოდენობრივი) | (+/- პროცენტული) |
| დანაშული სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (მ.137-141) | 123 | 68 | 55,28% | 99 | 59 | 59,6% | -24 | -19,51% |

ცხრილი N2

[56] შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, 2018 წლის იანვარ-სექტემბრის დანაშაულის სტატისტიკა,ხელმისაწვდომია: http://police.ge/files/pdf/statistica%202014%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98.pdf , (მოძიებულია: 28.05.2019).

ახლა კი გავეცნოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სქესობრივ დანაშულთა სტატისტიკურ ანალიზს 2017-2018 წლის იანვარ-აპრილის მდგომარეობით.[57]

| 2014-2015 წლების იანვარ-აპრილში რეგისტრირებული სქესობრივი დანაშულების სტატისტიკა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **დანაშულის სახეობა** | **2017 წელი** | | | **2018 წელი** | | | **დანაშულის მატება/კლება** | |
| | სულ რეგისტრირებული | გახსნილია | გახსნის % | სულ რეგისტრირებული | გახსნილია | გახსნის % | (+/- რაოდენობრივი) | (+/- პროცენტული) |
| **დანაშული სქესობრივი თვისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (მ.137-141)** | 42 | 21 | 50% | 44 | 21 | 47,63% | +2 | + 4,76% |

ცხრილი N3

აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2017 წლის იანვარ-სექტემბრის შუალედში სულ საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 19787 დანაშული.[58] აღნიშნულ საქმეთა 0,5%-ს შადგენს სქესობრივი დანაშაულები. სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშულები კი შემდეგნაირადაა განაწილებული:




დიაგრამა #2

[57] შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება 2018 წლის აპრილი,ხელმისაწვდომია: http://police.ge/files/pdf/%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%202015%E1%83%AC..pdf,( მოძიებულია: 28.05.2019).

[58] იქვე.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ 2017 წლის იანვარ-სექტემბერში მომხდარ სქესობრივ დანაშაულებს შორის 24 საქმე იყო გაუპატიურების მუხლით აღძრული, დანარჩენი მუხლებით (სსკ-ის 138-141 მუხლები) კი 75 საქმე:

დიაგრამა #3



არანაკლებ მნიშვნელოვანია, გავეცნოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შექმნილ სისტემურ მონაცემებს სქესობრივ დანაშაულთა სფეროში. ფრიად საინტერესო იქნება, შევისწავლოთ 2014-2018 წლების სქესობრივ დანაშაულთა სტატისტიკა.[59]

| **წელი** | **დანაშაულის სახეობა** | **დანაშაულის რაოდენობა** | **თავისუფლების აღკვეთა** | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 წლის ჩათვლით | 1-2 წელი | 2-3 წელი | 3-5 წელი | 5-8 წელი | 8-10 წელი | 10-15 წელი | 15-20 წელი | 20-25წელი | 25-30 წელი | 30-40 წელი | უვადო პატიმრობა | სულ | პირობითად ჩათვლა |
| **2014** | გაუპატიურება | 34 | 2 | 8 | 2 | 12 | 4 | 3 | 1 | | | | | | 32 | 9 |
| | სხვა დანარჩენი | **75** | 12 | 9 | 3 | 5 | 1 | 3 | 2 | | | | | | 35 | 10 |
| **2015** | გაუპატიურება | **35** | 5 | 1 | 2 | 10 | 3 | 6 | 1 | 3 | | | | | 31 | 13 |
| | სხვა დანარჩენი | 40 | 14 | | 1 | 1 | 1 | | 1 | 2 | | | | | 20 | 7 |
| **2016** | გაუპატიურება | 24 | 9 | 2 | 3 | 6 | | | 1 | | | | | | 21 | 10 |
| | სხვა დანარჩენი | 42 | 11 | 7 | 1 | 4 | 1 | 2 | 2 | 1 | | | | | 29 | 6 |
| **2017** | გაუპატიურება | 17 | 1 | 3 | 1 | 5 | 3 | 2 | 1 | 1 | | | | | 17 | 6 |
| | სხვა დანარჩენი | 50 | 7 | 4 | 2 | 8 | 7 | 6 | 4 | | | | | | 38 | 13 |
| **2018** | გაუპატიურება | 4 | | 1 | | 1 | 2 | | 1 | | | | | | 4 | 1 |
| | სხვა დანარჩენი | 21 | 5 | 2 | | 1 | 3 | | 1 | | | | | | 12 | |

ცხრილი #4

აღნიშნული ცხრილის მიხედვით, შეგვიძლია, შევქმნათ დიაგრამა, რომელზედაც გამოჩნდება, თუ როგორია გაუპატიურებისა და სქესობრივ დანაშაულთა სხვა მუხლებით რეგისტრირებულ საქმეთა დინამიკა:

[59] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სქესობრივ დანაშაულთა სტატისტიკა 2014-2018 წლებში, ხელმისაწვდომია: http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo, (მოძიებულია: 31.05.2019).




დიაგრამა #4

დიაგრამა #4 თვალნათლად მიგვანიშნებს, რომ 2014 წელს საკმაოდ რთული კრიმინოგენული ვითარება იყო საქართველოში, კერძოდ **გაუპატიურების 34** და სხვა **სქესობრივ დანაშაულთა 75** შემთხვევა. 2012-2013 წლებში გაუპატიურების საქმეები საგრძნობლად არ შემცირებულა, რასაც ვერ ვიტყვით სსკ-ის 138-141 მუხლებით რეგისტრირებულ დანაშაულებზე. სამწუხაროდ 2017 წლიდან სქესობრივ დანაშაულთა ტენდენცია იმატებს და 2018 წლის 4 თვის მონაცემებით უკვე **4 გაუპატიურებასა** და **21 სხვა სქესობრივ დანაშაულს** ითვლის. სავარაუდოდ 2018 წლის ბოლოსთვის სქესობრივ დანაშაულთა საკმაოდ მაღალი კოეფიციენტი დაფიქსირდება.

ცხრილი #4 ასახავს სქესობრივ დანაშაულთა მიმართ გამოყენებული სასჯელის, კერძოდ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების სისტემას.რა თქმა უნდა, აღნიშნული კატეგორიის დანაშაულების მიმართ გამოიყენება სხვა სახის სასჯელებიც, თუმცა მიგვაჩნია, რომ უმჯობესია ყურადღება შევაჩეროთ სასჯელის ყველაზე მკაცრ ფორმაზე.




დიაგრამა #5

აღნიშნული დიაგრამით ვრწმუნდებით, რომ სქესობრივ დანაშაულთა მიმართ უმეტეს შემთხვევაში, კერძოდ **69,9%-ში** გამოიყენება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ 2014-2018 წლებში ყველაზე ხშირად გამოყენებულ იქნა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა**1 წლის ჩათვლით** (66 შემთხვევა) და **3-5 წლის** ოდენობით (53 შემთხვევა). იშვიათ შემთხვევაში დამნაშავეებს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა **15-20 წლის** ვადით (7 პრეცედენტი), რაც უთუოდ მეტყველებს მასზედ, რომ საბედნიეროდ საქართველოში ისეთი სასტიკი დანაშაულის სახე, როგორიცაა მაგალითად 14 წელს მიუღწეველი პირის გაუპატიურება (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,გ'' პუნქტი), რომლისთვისაც კანონმდებელი ითვალისწინებს 14 წლიდან თავისუფლების აღკვეთას, არ არის ხშირი მოვლენა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მასშტაბებისათვის **7 შემთხვევაც** საკმაოდ სავალალო შედეგს წარმოადგენს.

ცხრილი #4 მიგვანიშნებს მასზედაც, რომ 2014-2018 წლებში სასჯელის სახით არცერთხელ არ გამოყენებულა თავისუფლების აღკვეთა 20 წლიდან ზემოთ ან უვადო პატიმრობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ გარემოების დადგენა, რა სიხშირით იქნა 2014-2018 წლებში გამოყენებული სასჯელის პირობითად ჩათვლის პრინციპი:




დიაგრამა #6

აღნიშნული დიაგრამიდან ირკვევა, რომ საქმეთა **33%-ის** შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ნაწილი დამნაშავეს პირობითად ეთვლება, რაც მიანიშნებს მასზედ, რომ საქართველოში ხშირია საპროცესო შეთანხმებათა დადების შემთხვევები ისეთი მძიმე და სასტიკი დანაშაულის დროს, როგორიცაა სქესობრივი დანაშაულები. მიგვაჩნია, რომ თავისუფლების აღკვეთის ნაწილის პირობითად ჩათვლის ეს არც ისე დაბალი ტენდენცია საბოლოოდ გამოიწვევს სქესობრივ დანაშაულთა მომატებას, რადგან პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობა გარკვეულწილად ამცირებს საზოგადოებასა და პოტენციურ მოძალადეებში სასჯელის შიშს და საბოლოოდ ხდება დამნაშავეობის ზრდის საფუძველი.

ახლა კი საინტერესოა, რა ტენდენცია შეიმჩნევა სქესობრივ დანაშაულთა ჩადენის მიმართ არასრულწლოვანთა შორის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შედგენილი კვლევიდან გამომდინარე, რომელიც ეხება 2014-2018 წლებში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ გაუპატიურებათა სტატისტიკას, შეგვძლია,მოვიყვანოთ შემდეგი ცხრილი:

| 2014-2018 წლებში არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე შეფარდებული სასჯელები გაუპატიურების ჩადენისათვის | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეეფარდა სასჯელის ღონისძიება | | | | | | | | | | | |
| | | | | თავისუფლების აღკვეთა | | | | | | | | | | | |
| წელი | სულ მსჯავრდებული | 14-15 წლის ასაკში | 16-17 წლის ასაკში | 1 წლამდე | 1-2 წელი | 2-3 წელი | 3-4 წელი | 5-10 წელი | 10-15 წელი | სულ | გამასწორებელი სამუშაო | პირობითი | ჯარიმა | აღსრულების გადავადება |
| **2014** | 1 | | 1 | | | | | 1 | | 1 | | | | |
| **2015** | | | | | | | | | | | | | | |
| **2016** | 2 | | 2 | | | 1 | 1 | | | 2 | | | | |
| **2017** | | | | | | | | | | | | | | |
| **2018** | 1 | | 1 | | 1 | | | | | 1 | | | | |

ცხრილი # 5

რა თქმა უნდა, სასიხარულოა, რომ არასრულწლოვანთა შორის მსგავსი სისასტიკის დანაშაულისაკენ მისწრაფება არ შეიმჩნევა, თუმცა არსებული მაჩვენებლები მეტყველებს მასზედ, რომ განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინონ მშობლებმა შვილის მიმართ 16-17 წლის ასაკში, რომელიც გარდამტეხია თითოეული არასრულწლოვნის ცხოვრებაში.

სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე შეგვიძია დავასკვნათ: ჩვენი სახელმწიფო და ადამინაის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები აქტიურად უწყობენ ხელს სქესობრივ დანაშაულთა შემცირებას, რისი შედეგიცაა ის, რომ თუნდაც 2017 წლის 9 თვის მონაცემებით სქესობრივ დანაშაულებს საერთო ჯამში საქმეთა 0,5% ეთმობა. აღსანიშნავია აგრეთვე თავად საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ამ დანაშაულთა ჩამდენი პირების მიმართ. კერძოდ საზოგადო აზრის თანახმად,თითოეული ასეთი მოძალადე მკაცრად უნდა დაისაჯოს კანონის საფუძველზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სქესობრივ დანაშაულთა სფეროში სტატისტიკური კვლევები სამომავლოდ დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს, რაც უთუოდ იქნება საფუძველი, სქესობრივ დანაშაულთა ფენომენის უკეთ შესწავლისა და პრევენციის ეფექტური მექანიზმების დასახვისათვის.

## 3.3 სქესობრივ დანაშაულთა პრევენციის მექანიზმები

სისხლის სამართლის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის დანაშაულის პრევენცია. დანაშაულის პრევენცია იმ ქმედებათა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია ახალ დანაშაულთა თავიდან აცილებაზე. სქესობრივი ძალადობა, როგორც  დანაშაულის ფენომენი სხვადასხვა საზოგადოებაში თავს განსხვავებულად იჩენს. აქედან გამომდინარე, პრევენციის მექანიზმების შესაქმნელად აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს კონკრეტულ სახელმწიფოში არსებულ ვითარებასა და დანაშაულებრივ სტატისტიკაზე. აუცილებელია ზოგადი სახის ინფორმაციის შეგროვება, რისი მრავალი ხერხიც არსებობს, კერძოდ:

1. გამოკითხვები - ეს იქნება პირადი თუ ელექტრონული სახით, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი ანკეტური გამოკითხვებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც გამოკითხულები ამომწურავ პასუხებს არ იძლევიან, რაც ინფორმაციის სწორად და სრულყოფილად გაანალიზებას უშლის ხელს.

2. ფოკუს ჯგუფები - არის საუკეთესო საშუალება, მოვიპოვოთ ინფორმაცია საზოგადოების წარმომადგენელთა სხვადასხვა კატეგორიებისაგან (მაგალითად: სტუდენტები, მეცნიერები, ტექნიკური პერსონალი და ა.შ.), რაც მოპოვებული ინფორმაციის მრავალფეროვნებას განაპირობებს და საბოლოო ჯამში საკითხის დეტალურად შესწავლის ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს.

3. არსებულ მონაცემთა შეჯერება - რაშიც გვეხმარება სტატისტიკური კვლევები, რათა სწორად განვსაზღვროთ სქესობრივ დანაშაულთა ფენომენი და მისი დინამიკა. [60]

თავად სქესობრივი დანაშაულის პრევენციის სტრატეგიას რაც შეეხება, მიგვაჩნია, რომ ფრიად საინტერესო იქნება გავეცნოთ ამერიკელი იურისტისა და მეცნიერის ლარი კოჰენის მიდგომას სახელწოდებით **„Spectrum of Prevention”**-ს, ე.ი პრევენციის სპექტრი, რომელიც შედგება ექვსი პრევენციული დონისაგან[61], კერძოდ:

[60]Morgan J., MLSW, A Guide Book for Individuals and Organizations Engaging in Collaborative Prevention Work, A publication of the Texas Association Against Sexual Assult, pp. 22-24;
[61]National Sexual Violance Resource Center, Sexual Violance and the Spectrum of Prevention, 2006, p.20.

1.<u>პიროვნების ცოდნისა და უნარების განვითარება:</u>აღნიშნული დონის დატვირთვა მდგომარეობს მასში, რომ საზოგადოებას, განსაკუთრებით მოზარდებს, მიეწოდოს სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით სწორი ინფორმაცია ავტორიტეტული პირების, მაგალითად ლიტერატორების, მეცნიერების, მუსიკოსების, მსახიობებისა თუ სპორტსმენების მიერ, რომელთა თუნდაც ერთი ნათქვამი სიტყვა უფრო ღრმად დარჩება პიროვნების მეხსიერებაში.

2. <u>განათლებული საზოგადოების შექმნა:</u>გულისხმობს ინფორმაციის რაც შეიძლება მეტი პირისათვის მიწოდებას, რათა მათ შექმნან ერთიანი სისტემა, რაც მხარს დაუჭერს სქესობრივი ძალადობის დაძლევას საზოგადოების ზეწოლისა და გაკიცხვის გზით.

3. <u>სპეციალისტთა ჯგუფების მობილიზება:</u> სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების გაერთიანებასაინფორმაციო-საგანმანათლებლო ჯგუფებში, რათა მათ უკეთ დაამყარონ კომუნიკაცია საზოგადოების წევრებთან, მაგალითად, არასრულწლოვნებთან და მათ მშობლებთან.

4.<u>ელექტრონული რესურსის კუალიციათა შექმნა:</u> აღნიშნული ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას საზოგადოების უფრო ფართო წრისათვის და პრევენტული პროგრამების მასშტაბურობისა და მიზნის ეფექტურად მიღწევის საშუალებას იძლევა.

5. <u>ორგანიზაციული პრაქტიკისა და მიდგომის შეცვლა:</u> საგანმანათლებლო, ჯანდაცვის სფეროში პასუხისმგებელი ორგანოების მიერ საკითხის ახლებურად აღქმა და პირთა ინტერესებზე მორგებული სისტემების შექმნა ეფექტური პრევენციის საფუძველია.

6. <u>პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა:</u> თავად სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არამხოლოდ დამნაშავეთა დასჯაზე, არამედ დანაშაულის ადრეულ პრევენციაზე. საკანონმდებლო ბაზა კი აღნიშნულის რეალურად განხორციელების შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების - „არასრულწლოვანთა დანაშულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“[62] მიზანია ერთიანი პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარების გზით არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირება ქვეყანაში, აგრეთვე სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში.

სტრატეგიაში არასრულწლოვანთა დანაშულის (მათ შორის სქესობრივი დანაშაულის) პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფებისა და პრობლემების განვითრების სტადიის მიხედვით:

ა) **პირველი/ადრეული პრევენცია**მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით და აქცენტს აკეთბს ბავშვის სწორ აღზრდასა და სოციალიზაციაზე; განათლებაზე; თავისუფალი დროის სწორად და პროდუქტიულად განაწილებაზე; ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებაზე.

ბ) **მეორე დონის პრევენცია** ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე (მზრუნველობა მოკლებული; მიუსაფარი ბავშვები) და მიზნად ისახავს დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებას. ინდივიდუალური მიდგომების; საკონსულტაციო ჯგუფებისა და სხვა ღონისძიებების შემუშავებას.

გ) **მესამე დონის პრევენცია** გამიზნულია განმეორებითი დანაშულის თავიდან აცილებაზე და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე. ამ მიზნის მიღწევა ხდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სიტემაში არასრულწლოვანთა კონსულტირებისა და ფსიქოლოგიური დახმარების პროგრამების დანერგვით; შესაბამისი ზოგადი და პროფესიული განათლების ან/და დასაქმების ხელშეწყობით.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული პრევენციული ღონისძიებების აღსრულებაზე, საქართველოში პასუხისმგებელია დანაშაულის პრევენციის ცენტრები. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩამოთვლილია პრევენციის პროგრამები.[63] კერძოდ, არასრულწლოვანთა განრიდება-

---

[62]საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის ბრძანებულება N235, არასრულწლოვანთა დანაშულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/uploads/files/strategy.pdf, (მოძიებულია: 31.05.2019).

[63]დანაშაულის პრევენციის ცენტრი, დანაშაულის პრევენციის პროგრამები, ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/page/7/geo, (მოძიებულია: 31.05.2019).

მედიაცია, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმია და გულისხმობს არასრულწლოვნის გათავისუფლებას სასჯელისა და ნასამართლობისაგან; აგრეთვე სრულწლოვანთა მედიაციის პროგრამა; რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამები, რომლებიც გულისხმობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ პირებთან სოციალური მუშაკის ჩართულობით მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნის მიღწევას. აღნიშნულ პროგრამათა ერთობლიობა საკმაოდ ეფექტური საშუალებებია დანაშულობასთან ბრძოლის გზაზე.

საბოლოოდ, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მრავალი საკანონმდებლო აქტის მიღების მიუხედავად, ბევრ ქვეყანაში დანაშაულის პრევენცია კვლავ განიხილება, როგორც პოლიციის პასუხისმგებლობა, თუმცა მზარდი ინოვატორული პროგრესის, კვლევისა და დაგროვილი გამოცდილების შედეგად, მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ დანაშაულს მრავალი მიზეზი აქვს და დანაშაულებრიობის დონეზე საზოგადოების სხვა ბევრ სექტორს შეიძლება ჰქონდეს გავლენა და აქედან გამომდინარე, უნდა იტვირთონ კიდეც პასუხისმგებლობა, რათა დაეხმარონ სახელმწიფოს დანაშაულის პრევენციაში.[64]

[64] კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია, ხელმისაწვდომია: http://library.court.ge/index.php?id=3845, (მოძიებულია: 31.05.2019).

# დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომით განვიხილეთ სქესობრივ დანაშაულთა ფენომენი სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ სამეცნიერო, ეროვნული კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო აქტების საფუძველზე, რომელთა ხელშემკვრელ მხარედ გვევლინება საქართველო. აღსანიშნავია, რომ ნაშრომი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან, რომელთა მეშვეობით ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, ნათლად დაგვენახა, თუ როგორია ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში სქესობრივ დანაშაულთა განვითარების დინამიკა. ნაშრომის თითოეული თავი ასახავს, თუ რა საკანონმდებლო ხარვეზები არსებობდა წარსულში სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში; რა სახით შეივსო აღნიშნული ხარვეზები მოქმედი კანონმდებლობით; რა პრობლემების წინაშე ვდგავართ დღესდღეობით და რაზე უნდა გამახვილდეს სამომავლოდ ყურადღება. მოდით, საბოლოოდ, კიდევ ერთხელ შევეხოთ აღნიშნულ საკანონმდებლო რეფორმებს და იმ მთავარ საკითხებს, რომლებიც სქესობრივი დანაშაულის ფენომენის უკეთ შესწავლაში დაგვეხმარა.

სქესობრივ დანაშაულთა სისხლის სამართლებრივი განვითარების ისტორიული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ საუკუნეების მანძილზე აღნიშნული კატეგორიის დანაშულზე მსჯელობა ნორმატიულ ხასიათს იძენდა. სქესობრივ დანაშაულთა შემადგენლობებში დაზარალებულად გვევლინება დაოჯახებული, დიდგვაროვანი, სასულიერო პირები. საბედნიეროიდ, მოქმედ კანონმდებლობაში მნიშვნელობა არ ენიჭება დაზარალებული მხარის სოციალურ სტატუსს. უფრო მეტიც, ზოგადად ითვლება, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის იდენტურ პრობლემას ვხვდებით ქართული სისხლის სამართლის განვითარების საბჭოურ ეპოქის განხილვის დროსაც.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სქესობრივ დანაშაულთა დროს გამოყენებული ძალადობა და მუქარა უნდა იყოს **რეალური**, ე.ი. დაზარალებულს უნდა უქმნიდეს გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის რეალურ განცდას; **დროის მცირე შუალედს** მუქარასა და ქმედების რეალურად განხორციელების შესაძლებლობას შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, მთავარია თავად დაზარალებულს არ ჰქონდეს შესაძლებლობა, წინ აღუდგეს მუქარის სისრულეში მოყვანას; და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალადობის გამოვლენისას არ არის აუცილებელი, სახეხე იყოს ყვირილი, აშკარა ფიზიკური წინააღმდეგობა დაზარალებულის მხრიდან, მთავარია ძალადობის გამოვლენისას დაფიქსირდეს მსხვერპლის ისეთი მოქმედება, რომლიდანაც აშკარად მიიჩნევა, რომ მას არ სურს სქესობრივი კავშირის ნებაყოფლობით დამყარება.

აუცილებელია აღინიშნოს კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი - სქესობრივ დანაშაულზე **ნებაყოფლობით ხელის აღება**. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დასაშვებია, როგორც სქესობრივი დანაშაულის მომზადების, ასევე მცდელობის სტადიაზე. **მომზადების სტადიიდან** გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე დარწმუნებულია, რომ აქვს დანაშაულის გაგრძელების რეალური შესაძლებლობა და მიუხედავად ამისა თავად, სხვისი ჩარევისა და ძალდატანების გარეშე ხელს იღებს დანაშაულზე, ხოლო **მცდელობის სტადიაზე** გაუპატიურებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც დაუმთავრებელი, ასევე დამთავრებული მცდელობისას. დაუმთავრებელი მცდელობის დროს ხელის აღება შესაძლებელია იმ მომენტამდე, ვიდრე პირი გააკეთებს ყველაფერს მისი მხრივ, რაც საჭირო იყო გაუპატიურების ბოლომდე მისაყვანად (მაგ. შეწყვეტს ფიზიკურ ძალადობას). დამთავრებული მცდელობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშემშლელი გარემოება დამნაშავეზე დამოკიდებული არ იყო.

ზემოარნიშნულის გარდა, ჩვენ განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგბრძოლის მექანიზმებზე, კერძოდ ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო თუ ეროვნულ საკანონმდებლო აქტებზე. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული აქტები საკმაოდ

დეტალურად არეგულირებენ არასრულწლოვანთა წინააღმდეგ მიმართული სქესობრივი დანაშაულების კატეგორიას, თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა, რაც კვლევისას გამოიკვეთა, არის არასრულწლოვანთა ნაკლები ინფორმირებულობა იმ უფლებათა შესახებ, რომლებსაც მათ სახელმწიფო სთავაზობს. სამომავლოდ, აუცილებელია, არამარტო საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, არამედ მშობლებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ საკუთარი შვილების სქესობრივ აღზრდაზე; აუხსნან, რომ აუცილებელია საჭირო დროს არასრულწლოვანმა თქვას ,,უარი'', ხოლო თუკი რომელიმე ბავშვი მაინც გახდება სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი, გაამხილოს მომხდარი მშობელთან, ახლობელთან, რათა მომავალში კვლავ არ გახდეს მოძალადე პირთა სამიზნე.

აღსანიშნავია, რომ ნაკლები ინფორმირებულობა და ძალადობის ფაქტის დაფარვისაკენ მიდრეკილება არამარტო არასრულწლოვანთა, არამედ ზოგადად საქართველოს მოსახლეობის პრობლემას წარმოადგენს. საქართველო ტრადიციებისა და ჩვეულებების ქვეყანაა, რაც განაპირობებს იმას, რომ ხშირად ამა თუ იმ ოჯახის წევრები ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, თუმცა საზოგადო სირცხვილის განცდის გამო ამას არ ამხელენ.

სქესობრივ დანაშაულთა დეტალური, სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური ასპექტების განხილვის გარდა, ჩვენ შევეხეთ დაზარალებულებისა და მოძალადეების ცალკეულ კატეგორიებად დააყოფის საკითხს, რითაც ზოგადად უფრო ადვილი ხდება, შევიცნოთ დანაშაულის მსხვერპლის, დამნაშავისა და საკუთრივ დანაშულის ფენომენი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეფექტური პრევენტული ღონისძიებების შემუშავებას. კვლევისას დავადგინეთ, რომ სქესობრივ მოძალადეთა ფორმირება სხვადასხვა რისკ-ფაქტორზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, საზოგადოებას, ოჯახს თანაბარმნიშვნელოვნად მიუძღვის ბრალი მასში, რომ ესა თუ ის პირი სქესობრივი მოძალადე გახდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა სქესობრივ დანაშაულთან კომპლექსური ბრძოლა, სახელმწიფოსა და საზოგადოების ძალთა გაერთიანების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია სქესობრივ დანაშაულებთან მიმართბაში ჩვენ მიერ განხილული სტატისტიკური კვლევის შედეგებიც. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის თითქმის **23%-მა** საერთოდ არ იცის, რომ სქესობრივი ძალადობა დანაშაულია,

უთუოდ მეტყველებს მასზედ, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი საზღვრისპირა მაცხოვრებლების ინფორმირებაზე იმ მექანიზმების შესახებ, რომლებიც არსებობს უფლებათა დაცვის სფეროში. საინტერესოა საზოგადოების დამოკიდებულება თავად მოძალადეთა მიმართ. მოსახლეობის **85%** მიიჩნევს რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების მიმართ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

სტატისტიკურ მონაცემთა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მართალია სქესობრივი დანაშაულების რიცხვი დაახლოებით ერთი წლის მონაცემებისათვის, რეგისტრირებულ საქმეთა **0,5%-ს** არ აღემატება, მაგრამ ის კვლავ რჩება საზოგადოების პრობლემად და სახელმწიფო მომავალში კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით უნდა მოეკიდოს ამ დანაშაულთა პრევენციის მექანიზმების შემუშავებას.

დანაშაულის პრევენციას რაც შეეხება, ჩვენ გავეცანით არამარტო ჩვენს კანონმდებლობაში არსებულ პრევენციის სტრატეგიის მექანიზმებს, არამედ სამართლებრივ თეორიაში დამკვიდრებულ პრევენციულ სისტემებსაც, რის შედეგადაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უფრო ეფექტურია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე მისი შედეგების გამოსწორებაზე ზრუნვა. დანაშაულობასთან ბრძოლის პროცესში აუცილებელია კომპლექსური მიდგომების ჩამოყალიბება და სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი მოქმედება. პრევენციის სტრატეგიის დასახვისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კონკრეტული სახელმწიფოს შიდა ვითარების შესწავლა საზოგადოების გამოკითხვის გზით, ხოლო შემდგომ პრევენციული პოლიტიკის შერჩევა.

დასასრულს, შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა შესანიშნავადაა მორგებული დღევანდელ რეალობას და საკმაოდ დეტალურად არეგულირებს საზოგადოებაში წარმოშობილ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის სფეროს პრობლემებს. საამაყოა აგრეთვე, ეროვნული ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც უდავოდ საფუძველია სამართლებრივი წინსვლისა და განვითარებისათვის.

# გამოყენებული წყაროები

## ლიტერატურა:


1. გურგენიძე გ., გაუპატიურება და სქესობრივი ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, თბ., 2006;
2. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953;
3. ვაჩეიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, თბ., 1946;
4. კელენჯერიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები, ალმანახი №19, სისხლის სამართალი (III), 2004;
5. ლეკვეიშვილი მ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტ. I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008;
6. მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., წერეთელი თ., შავგულიძე ი., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980;
7. სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანზაროტეს კონვენცია), 2013;
8. სურგულაძე ი., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები, თბ., 2000;
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015;
10. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, პროფ. გ. მამულაშვილის რედ., თბ., 2016;
11. ფაფიაშვილი შ., მკვლელობისა და გაუპატიურების გამოძიებისა და განხილვის მეთოდების პრობლემები, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004;
12. ფონდი „ღია საზოგადოება“, გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების პრეცედენტის სახელმძღვანელო, თბ., 2006;
13. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969;
14. წულაია ზ., დანაშული ადამიანის წინააღმდეგ, თბ.,გამომცემლობა „ინტელექტი“, 2000;

15. ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემაში,სამართლის ჟურნალი, #2, 2012.
16. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928;
17. Игнатов А.Н., Квалификация половых преступлений, М., Издательство„Юрид. лит.“, 1974.
18. Парыгин Б.Д., Социальная психология как наука, Л., 1967;
19. Пионтковский,А. А, Учение о преступлении по советскому уголовному праву, М., Издательство „госюриздат“, 1961;
20. Сухорев Е., Арямов А., Влияние уголовно-правовой категории "зависимость" на квалификацию преступлений, М., Издательство „Юрид. лит.“,1992.
21. Morgan J., MLSW, A Guide Book for Individuals and Organizations Engaging in Collaborative Prevention Work, A publication of the Texas Association Against Sexual Assult.
22. National Sexual Violance Resource Center, Sexual Violance and the Spectrum of Prevention, 2006.

**საკანონმდებლო ბაზა:**

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“;
3. გაეროს 1985 წლის დეკლარაცია „ხელისუფლების დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპების შესახებ“;
4. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1985 წლის 28 ივნისს მიღებული #R (85)11, „დაზარალებულის მდგომარეობა სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში“;
5. ევროსაბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის „სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის ლანზაროტეს კონვენცია“;
6. ევროსაბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის ,,ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“;
7. ევროსაბჭოს 1983 წლის 24 ნოემბრის კონვენცია ,,ძალადობრივ დანაშაულთა მსხვერპლისათვის კომპენსაციის შესახებ“;

8. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წლის 17 სექტემბერს მიღებული №R(87)21, „დაზარალებულთა დახმარება და ვიქტიმიზაციის აღმოფხვრა“.
9. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006;
10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999;
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
12. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის ბრძანებულება N235, არასრულწლოვანთა დანაშულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ.

## ელექტრონული რესურსი:

1. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, USAID, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, ხელმისაწვდომია: http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf
2. დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/.
3. კავთუაშვილი ე., არასრულწლოვანი დამნაშავე და დანაშაულის პრევენცია, ხელმისაწვდომია: http://library.court.ge/index.php?id=3845.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ხელმისაწვდომია: http://police.ge/.
6. European Court Of Human Rights, CASE of S.W. v. THE UNITED KINGDOM, 22 November 1995, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57965.
7. Pandoras Project, Some Tips on How to Protect child from Sexual Abuse, ხელმისაწვდომია: http://www.pandys.org/articles/protectyourchild.html.